# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 7 თებერვალი, 2012 წელი.

№24 (6901)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.


## ძალა აღმართსა ხნავს... და ეს ძალა ჩვენა ვართ, ხალხი...



6-7

## ფინქ ტოლ ყურუმსალის დემაგოგიური პოლიტიკის განმარტებითი ლექსიკონი

გამომცემლობა „ჰავლაბარ ინტერნეშენალ პრესს", ლაზიკა, 2012



3

## ქართული ტრანსფორმაციის სასწაული...

რომელსაც ხედავენ ამერიკელები, მაგრამ ვერ ვხედავთ ჩვენ







4

## მენაშენეების ფულით აშენებული სასტუმროები...

## ბობოხიძის ბრიყვული გულწრფელობა



5

## ავტო-გასამართი სადგურების „ოსკაროსნები"

5

## წყალტუბოს სანატორიუმებს პარლამენ-ტარებისთვის აახლებენ?!



9

## მოსკოვმა ამერიკულ-ქართული ურთიერთობების გაღრმავება თეთრ სახლთან დაძაბულობისა და ანტიამერიკული განცხადებების პასუხად აღიქვა

8

# ბიძინა ივანიშვილი მაჟორიტარული წესით არჩევნებთან დაკავშირებით ახალი წინადადებით გამოდის



**ამ წინადადებით ივანიშვილი იმ პოლიტიკურ ძალებს მიმართავს, რომლებიც მის კოალიციაში ვერ მოხვდნენ, თუმცა იდეოლოგიურად მიუღებელნი არ არიან.**

— ყველას გასაგონად ვაკეთებ განცხადებას: იმ პარტიებს, რომლებიც ვერ გაერთიანდებიან ჩვენს კოალიციაში, მაგრამ არ არიან იდეოლოგიურად მიუღებელნი, ვთავაზობთ მაჟორიტარული წესით არჩევნებისას საერთო კანდიდატზე შესაძლო შეთანხმების ვარიანტს, — აცხადებს ივანიშვილი გაზეთ „ასავალ-დასავალთან“ინტერვიუში.

ამასთან, მისივე განმარტებით, შეთავაზება იმ ძალებს ეხებათ, რომლებიც „ხელისუფლებასთან შესაძლო თანამშრომლობის ეჭვს არ ტოვებენ“.

— დიახ, იმ პარტიებს, რომლებიც არ იქნებიან კოალიციაში „ქართულ ოცნებასთან“ და, რომლებიც არ ტოვებენ ხელისუფლებასთან შესაძლო თანამშრომლობის ეჭვს, ვაძლევთ შესაძლებლობას და ვპირდებით, შეთანხმების შემთხვევაში ხელს არ შევუშლით მაჟორიტარულ არჩევნებში კანდიდატების წარდგენისას. დიახ, მსგავს შემთხვევაში მივაღწევთ შეთანხმებას საერთო კანდიდატზე, — აღნიშნავს ბიზნესმენი.

## ბიძინა ივანიშვილის განცხადება 4 თებერვალს მსოფლიო ონკოლოგიური დაავადების გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის დღესთან დაკავშირებით (WORLD CANCER DAY)

**„მე მომაწოდეს შემაშფოთებელი სტატისტიკა საქართველოში კიბოს დაავადების გავრცელების შესახებ (საქართველოში ყოველწლიურად ონკოლოგიური დაავადების შვიდი ათასამდე ახალი შემთხვევა ფიქსირდება, საერთო ჯამში კი ჩვენს ქვეყანაში კიბოთი დაავადებული ოცდაათი ათასი ადამიანი ცხოვრობსძ. აშკარაა, რომ ქვეყანაში არსებული პროგრამები სრულიად არასაკმარისია ამ სენთან საბრძოლველად და მისი პროფილაქტიკისთვის. ვიცი რა ძვირია და რა ცოტა ადამიანს აქვს ამ დაავადებასთან ბრძოლის საშუალება, მაგრამ ამ საკითხს ქვეყანა მხოლოდ ქველმოქმედებით ვერ გაუმკლავდება. საჭიროა სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამების, ჯანდაცვისა და სადაზღვევო სისტემის კოორდინირებული და სწორი მოქმედება, იმისათვის რომ საქართველოში ამ სენით დაავადებული არც ერთი ადამიანი არ დარჩეს სახელმწიფოს მხრიდან მზრუნველობის გარეშე. ჯანდაცვის კონცეფციაში, რომელსაც საზოგადოებას შევთავაზებთ, ამ საკითხს აუცილებლად დაეთმობა დიდი ყურადღება“.**

# „ეროვნული ფორუმი“ კოალიციის წევრი გახდება



**„ეროვნული ფორუმი“ ბიძინა ივანიშვილის კოალიციის წევრი გახდება, — ამის შესახებ ჟურნალისტებს ფორუმის ლიდერმა კახა შარტავამ ბიძინა ივანიშვილთან გუშინდელი შეხვედრის შემდეგ განუცხადა. მისი თქმით, ახალ კოალიციას აქვს სურვილი, ეროვნული ფორუმი, როგორც პოლიტიკური სუბიექტი, მას შეუერთდეს.**

— ჩვენი მხრიდანაც არის პოზიტიური განწყობა და შევთანხმდით, რომ ეროვნული ფორუმი ახალი კოალიციის წევრი გახდება. ამ საკითხს ჩვენს აქტივს გავაცნობთ, თუმცა, წინასწარი მონაცემებით, დადებითად იქნება აღქმული. დანარჩენი საკითხები, კოალიციის ფორმირების წესი და სხვა დეტალები უახლოეს ხანში გახდება ცნობილი და გამოცხადდება, — თქვა კახა შარტავამ.

მისივე განმარტებით, კოალიციის ოფიციალურად შექმნამდე საზოგადოებას იმ პარტიის საინიციატივო ჯგუფი უნდა წარედგინოს, რომელსაც ბიძინა ივანიშვილი და მისი თანამოაზრეები ქმნიან.

შარტავას ინფორმაციით, ბიძინა ივანიშვილის პარტიისა და ახალი კოალიციის ფორმირება, სავარაუდოდ, თებერვალში მოხდება.

გუშინდელი შეხვედრით, რომელიც „კომკავშირის ხეივანში“ მდებარე ბიძინა ივანიშვილის რეზიდენციაში გაიმართა, ეროვნული ფორუმის ლიდერი კმაყოფილია. შარტავას განცხადებით, კონსულტაციებმა მეგობრულ გარემოში ჩაიარა.

შეხვედრაზე, ეროვნული ფორუმის ლიდერის გარდა, იმყოფებოდნენ ფორუმელები, გუბაზ სანიკიძე და რევაზ შავიშვილი.

შეხვედრას ესწრებოდნენ, აგრეთვე, „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი ირაკლი ალასანია და რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი.

**ინტერპრესნიუსი**

## ◉ ბრიფინგი

# არასამთავრობოები სახელმწიფოს მიერ გახარჯული სახსრების გაკონტროლებას ითხოვენ

**გუშინ საქართველოს კონტროლის პალატასთან სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებმა ბრიფინგი გამართეს. მათ მოითხოვეს სახელმწიფოს მიერ გახარჯული საბიუჯეტო სახსრების შემოწმება, როგორც ეს საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნების“ შემთხვევაში მოხდა.**

ორგანიზაციამ „სოლიდარობა უკანონო პატიმრებს“, მოძრაობამ „არა“, პატიმართა დახმარების საქველმოქმედო ფონდმა, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა დაცვის ასოციაციამ, „ყოფილი პატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარეს ლევან ბეჟაშვილს მიმართეს მოთხოვნით, რომ შეისწავლონ სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროში არსებული ვითარება, კერძოდ: რომელი კომპანიები ამარაგებენ საკვებით საპყრობილეებს, რა კრიტერიუმებით შეირჩნენ ისინი და რა თანხები იხარჯება ამისთვის ბიუჯეტიდან, რა წესით შეირჩნენ აფთიაქები, რომლებიც მედიკამენტებით ამარაგებენ საპყრობილეებს.



დეტალური ინფორმაციის მიღება მოითხოვეს ასევე 2003 წლიდან 2011 წლის 28 დეკემბრამდე, თუ რა სახის შემოწირულობები, დახმარებები მიიღო ნაციონალურმა მოძრაობამ იურიდიული პირებისა და გაერთიანებებისგან, უცხოეთის მოქალაქეების, კომპანიებისა თუ კორპორაციებისაგან.

საუბარი ასევე შეეხო 2011 წელს საქართველოს კანონში დედაქალაქ თბილისის შესახებ განხორციელებულ ცვლილებებს და მოითხოვეს ანგარიში 2011-2012 წლებში თბილისის მერის მიერ რა ტიპის, ოდენობის, ღირებულების ქონება გაიცა უსასყიდლოდ მიზერულ თანხად აუქციონებისა და ტენდერების გარეშე.

არასამთავრობოებმა მოითხოვეს სრული ფინანსური ხარჯთაღრიცხვა და დეტალური ინფორმაციის მიწოდება 2005 წლიდან დღემდე რეაბილიტირებულ, აშენებულ და მშენებარე ავტობანების, მაგისტრალების და გზების შესახებ. ასევე საპარლამენტო უმრავლესობის დეპუტატების სამივლინებო ხარჯები და პრემიების ხარჯთაღრიცხვა.

არასამთავრობოებმა იმედი გამოთქვეს, რომ კონტროლის პალატა ოპერატიულად იმოქმედებს და თავის უფლება-მოვალეობას პირნათლად შეასრულებს.

**გულნაზ გახარია**

## ◉ ინფორმაცია

## ცხინვალში ვითარება იძაბება

**ცხინვალში ვითარება იძაბება. ე.წ სამხრეთ ოსეთის საგანგებო სიტუაციათა მინისტრმა ანატოლი ბიბილოვმა ე.წ. სამხრეთ ოსეთში ახალ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობაზე უარი თქვა. ამის შესახებ „რია ნოვოსტი“ იუწყება.**

**— ოფიციალურად ვაცხადებ, რომ არ ვაპირებ ჩემი კანდიდატურა მარტისთვის დაგეგმილ საპრეზიდენტო არჩევნებზე დავაყენო. იმის გამო, რომ მივცეთ ჩვენ თანამოქალაქეებს შესაძლებლობა, დაპირისპირებას თავი აარიდონ და მშვიდ ვითარებაში გააკეთონ არჩევანი, — დასძინა ბიბილოვმა.**

## ◉ აბა შენ იცი, ვახუშტი!

# „იძულებული გავხდი, პირადი მაგალითი მიმეცა საზოგადოებისთვის“

**საქართველოს საპარლამენტო არჩევნებამდე 9 თვით ადრე ზუგდიდის რაიონის მკვიდრმა, ფილოსოფიის დოქტორმა, მოძრაობა „სამშობლოს მაძიებლების“ ხელმძღვანელმა ვახუშტი ფარცვანიამ გადაწყვეტილება მიიღო, გახდეს ზუგდიდის მაჟორიტარი დეპუტატი და კენჭი იყაროს საპარლამენტო არჩევნებში: „საქართველოში შეუძლებელია სიმართლის ადრესატამდე მიტანა, როგორც სამთავრობო ისე ოპოზიციურ სუბიექტებში.**

ვერანაირად ვერ მივაღწიე საქართველოს რეგიონებში დეპუტატობის კანდიდატთა საზოგადოების მხრიდან დემოკრატიული წესით წარმოჩენის პრინციპების დამკვიდრებას, იძულებული გავხდი, პირადი მაგალითი მიმეცა საზოგადოებისათვის და გამომეთქვა სურვილი ჩემს მშობლიურ რაიონში განმეცხადებინა ლიდერობის პრეტენზია, ამიტომ ვიწყებ ჩემს რაიონში თანამოაზრეთა ხელმოწერების შეგროვებას, ვარ თუ არა ღირსი, ვიყო არჩეული დეპუტატად საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში“? — თქვა ვახუშტი ფარცვანიამ.

რაც შეეხება საკითხს, თუ რომელი პარტიის მხარდაჭერით უნდა იყაროს კენჭი, — ვახუშტი ფარცვანიას განცხადებით პასუხი მარტივია: „არჩევნების გამოცხადებამდე ჩემს ამომრჩევლებთან ერთად გადავწყვეტ ვისთან იქნება თანამშრომლობა მისაღები და ვისთან არა, ან კი იქნება საერთოდ მისაღები ?“ ვახუშტი ფარცვანია პირდება თავის ამომრჩევლებს, რომ ზუგდიდის მაჟორიტარ დეპუტატად არჩევის შემთხვევაში ნდობას მაქსიმალურად გაამართლებს და რაიონის ინფრასტრუქტურას თანამედროვე სტანდარტამდე აიყვანს.

ვახუშტი ფარცვანია 2008 წელს უკვე იყო ზუგდიდის რაიონის მაჟორიტარობის კანდიდატი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან.

გავრცელებული ინფორმაციით ზუგდიდის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად და ვახუშტი ფარცვანიას მეტოქედ, შესაძლებელია, ვიხილოთ თავისუფალი დემოკრატების ლიდერი ირაკლი ალასანია. ისიც წარმოშობით ზუგდიდელია.

**ლადო ქირია,**
**ზუგდიდიდან.**

## ◉ ყოჩაღ!

# პარლამენტის სასესიო დარბაზში ჟურნალისტები ინდივიდუალური კამერებით, სავარაუდოდ, ველარ იმუშავებენ

**მომავალი პარლამენტის სასესიო დარბაზში ჟურნალისტები ინდივიდუალური კამერებით, სავარაუდოდ, ველარ იმუშავებენ. იგივე სიტუაცია იქნება საპარლამენტო კომიტეტებშიც. საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი ახალი რეგლამენტის პროექტზე მუშაობს, რომელიც საგაზაფხულო სესიაზე იქნება ინიცირებული.**

კომიტეტის თავმჯდომარის ხათუნა გოგორიშვილის ინფორმაციით, მომავალ პარლამენტში იქნება მედიაცენტრი, საიდანაც ჟურნალისტებს პარლამენტის სასესიო დარბაზში მომუშავე 8 კამერისთვის თვალყურის დევნება და შემდეგ საჭირო მასალის გადმოწერა შეეძლებათ.

პარლამენტის ახალ რეგლამენტში ამომრჩეველთან დეპუტატების ურთიერთობაც რეგლამენტირებული იქნება.

ხათუნა გოგორიშვილის განმარტებით, ახალ რეგლამენტში გაჩნდება ახალი თავი, რომელიც ამომრჩეველთან დეპუტატების ურთიერთობას შეეხება.

ასევე, როგორც გოგორიშვილი აღნიშნავს, ახალ პარლამენტში კომიტეტების სხდომების გამართვისთვის რვა დარბაზი იქნება. დღევანდელ პარლამენტში კი ასეთი მხოლოდ ორია — ილია ჭავჭავაძის სახელობის და პირველი რესპუბლიკის სახელობის დარბაზები. საჭიროების შემთხვევაში კი კომიტეტების სხდომები კომიტეტების თავმჯდომარეების სათათბირო ოთახებშიც იმართება ხოლმე. მომავალ პარლამენტში კი კომიტეტების სხდომები სათათბირო ოთახებში აღარ ჩატარდება.

* * *

**პარლამენტის პირველი ვიცე-სპიკერი მიხეილ მაჭავარიანი პირობას იძლევა, რომ ქუთაისის პარლამენტში ჟურნალისტებს გადაადგილება არ შეეზღუდებათ და მათთვის მუშაობა მეტად კომფორტული იქნება. როგორც მაჭავარიანმა ჟურნალისტებს გუშინ განუცხადა, მიმდინარეობს დიდი სამუშაო, რათა ყველა ჟურნალისტს ჰქონდეს საშუალება, არა მარტო პლენარული სხდომებიდან, კომიტეტიდანაც მიიღოს სიგნალი.**

მაჭავარიანი პირობას იძლევა, რომ ჟურნალისტებისთვის ყველა ინფორმაცია იქნება ბევრად უფრო ხელმისაწვდომი და ადვილად მოსაპოვებელი, ვიდრე დღეს.



ტელემედიის ოპერატორებისთვის კამერებით მუშაობაზე კი, მაჭავარიანი ამბობს, რომ სხდომებიდან მედიაცენტრში მივა ციფრული სიგნალი, რაც შესაძლებლობას მისცემს მედიას, აიღოს როგორც გამოსახულება, ასევე — ხმა და „სუნთქვაც“ კი.

რაც შეეხება პარლამენტში გადაადგილებას, მაჭავარიანი პირადად იძლევა იმის გარანტიას, რომ მათ გადაადგილების შეზღუდვა არ ექნებათ.

ქუთაისის პარლამენტში სხდომათა და საკომიტეტო მოსმენების დარბაზებში ჟურნალისტებს ინდივიდუალური კამერებით მუშაობის საშუალება აღარ მიეცემათ. დარბაზში კი, 8 ოფიციალური კამერა იმუშავებს და მედიასაც გამოსახულებას ისინი მიაწვდიან.

**ინტერპრესნიუსი**

## ⊙ არასერიოზულად სერიოზულზე

# ფინქ ტოლ ყურუმსაღის დემაგოგიური პოლიტიკის განმარტებითი ლექსიკონი

გამომცემლობა „ჰავლაბარ ინტერნეშენალ პრესს“, ლაზიკა, 2012

**წინასიტყვაობა:**

**ფინქ ტოლ ყურუმსაღის დემაგოგიური პოლიტიკის განმარტებითი პოლიტიკური ლექსიკონი ორიგინალური გამოცემაა, რომელიც მიზნად ისახავს დამწყებ პოლიტიკოსებს და ჩვეულებრივ მოქალაქეებს შეასწავლოს დემაგოგიის ფილოსოფიის პრაქტიკული გამოყენების ასპექტები. ლექსიკონი შეიცავს 50,000 წინადადებას, ფრაზას და კითხვაზე პასუხს, რომელთა მნიშვნელობა ფასდაუდებელია — გამომდინარე ავტორის ფენომენალური უნარჩვევებიდან დასახელებულ სფეროში. ლექსიკონს განსაკუთრებული ფორმა აქვს, თითოეული დემაგოგიური წინადადება განმარტებულია ისე, რომ ჩვეულებრივმა ადამიანებმაც გაიგონ. უახლოეს ხანებში ლექსიკონი გამოვა ინგლისურ, ფრანგულ, ესპანურ და სუაჰილის ენებზეც, რაც ფინქ ტოლ პოლიტიკას უფრო აღქმადს გახდის მთელ მსოფლიოში.**

**კითხვა: შეიძლება, რომ საქართველოში განხორციელებული საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად უახლოეს მომავალში თქვენ პრემიერ-მინისტრად გიხილოთ?**

პასუხის ვარიანტები:

1. არ მინდა საკუთარი თავი გაკოტრებულ პოლიტიკოსად (lame duckძ ვაქციო იმ დროს, როდესაც ჩემი საპრეზიდენტო ვადის ამოწურვამდე თითქმის ორი წელი დარჩა.

განმარტება 1.ა — ვერც „ჰოს“ გეტყვით (იმიტომ, რომ ობამას „არა“ ვუპასუხე, რადგან ბოკერიამ ასე მირჩიაძ და ვერც — „არას“ (მერე პადოშას როგორ შევხედო თვალებში?!ძ.

განმარტება 1.ბ — გაკოტრებული და დედანატირები პოლიტიკოსი ვარ, ახალნამშობიარებ ქალებთან და მათ ჩვილებთან გადაღებული ფოტოების და ვიდეორეპორტაჟების იმედით მიდგია სული, მაგრამ ამას ხომ ვერ გეტყვით (მერე პადოშას როგორ შევხედო თვალებში?!ძ.

განმარტება 1.გ — ჩემი საპრეზიდენტო ვადის ამოწურვამდე კი დარჩა თითქმის ორი წელი, მაგრამ ეგ სულ ფეხებზე მკიდია, რადგან თუ პრემიერ-მინისტრი გავხდი, lame duck პრეზიდენტობის დედაც არ ვატირე (და — პადოშასიც!ძ ?!..

**კითხვა: „ხანდახან ხალხი მეკითხება, „შენ პუტინად ყოფნას აპირებ?“**

პასუხის ვარიანტები:

1. საქართველოს იმთავითვე არ შეიძლება, პუტინი ჰყავდეს, რადგან საქართველო რუსეთი არ არის.

პასუხის განმარტება: საქართველო რუსეთი არ არის — რუსეთი — რუსეთია, ხოლო — საქართველოში მე ვარ.

2. საქართველოს იმთავითვე არ შეიძლება, ხელისუფალი ვლადიმერ პუტინი ჰყავდეს, რადგან ვლადიმერ პუტინი საქართველოს მოქალაქე არ არის.

პასუხის განმარტება: ვლადიმერ პუტინს კი არა, ბიძინა ივანიშვილს არ ვაძლევ მოქალაქეობას და..! და საერთოდ, მალე საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება გაუქმდება, ხოლო ჩამორთმევა — გაფართოვდება!

3. მე პუტინად ყოფნას არ ვაპირებ.

პასუხის განმარტება 3.აძ: მე გვარის შეცვლას არ ვაპირებ. მე პრემიერ-მინისტრად ყოფნას ვაპირებ. მაგრამ ამას არ გეტყვით (ბოკერიამ მირჩია, ნუ...ძ

პასუხის განმარტება 3.ბძ: არ მინდა პუტინივით დაბალი და პოსლიკა ვიყო.

პასუხის განმარტება 3.გძ: პუტინობას ერდოღანობა სჯობს. დედამ მითხრა — დიდ რუსობას დიდი თურქობა სჯობიაო...

4. არ მინდა საკუთარი თავი გაკოტრებულ პოლიტიკოსად (lame duckძ ვაქციო იმ დროს, როდესაც ჩემი საპრეზიდენტო ვადის ამოწურვამდე თითქმის ორი წელი დარჩა.

პასუხის განმარტება 4.აძ: პუტინად ყოფნასაც რომ ვაპირებდე, თქვენ გეტყოდით? როგორ შევხედო მერე თვალებში ნუგზარ ხერხეულიძეს და ეკა წიკლაურს? თქვენ მე ყველაფერში გიჟი ხომ არ გგონივართ?

5. ჩვენ ზუსტად ახლა ვაკეთებთ ისეთ რამეს, რაც პუტინის მსგავსი მოვლენების საქართველოში არსებობას სამუდამოდ გამორიცხავს.

პასუხის განმარტება 5.აძ: ჩვენ ზუსტად ახლა ვაკეთებთ ისეთ რამეს, რაც გამორიცხავს, რომ პრეზიდენტი ჯერ პრემიერ-მინისტრი გახდეს და მერე ისევ პრეზიდენტად დაბრუნდეს. ჩვენ ისე გავაკეთებთ, რომ პრემიერ-მინისტრს პრეზიდენტად დაბრუნება აღარ დასჭირდება! (ჰა-ჰა-ჰა!ძ.

პასუხის განმარტება 5.ბძ: ჩვენ ზუსტად ახლა ვაკეთებთ იმას, რომ აღარ დამჭირდეს პუტინივით საყოველთაო არჩევნების მოგება! აგერ ნახავთ პუტინი რა ტურას დაიჭერს საყოველთაო არჩევნებზე! მე პუტინი არ ვარ! მე უფრო მაგარი ვარ! ჩვენ რეზინის კონსტიტუცია გვაქვს!

**კითხვა: ვაშინგტონის გზა არ გხიბლავთ?**

პასუხის ვარიანტები:

1. მხიბლავს! ეს ერთ-ერთი ყველაზე მომხიბვლელი გზაა.

პასუხის განმარტება 1.აძ: არსებობს სხვა მომხიბვლელი გზებიც — მაგალითად კარლიტოს გზა!

პასუხის განმარტება 1.ბძ: განსაკუთრებით მხიბლავს არა ის, რომ გადადგა, არამედ ის, რომ განსაკუთრებული მდგომარეობის გამო მას „ნაციის მამობა“ შესთავაზეს! აი, ეს მესმის! ჩვენ ახლა ვმუშაობთ იმაზე, რა შეიძლება ჩაითვალოს ჩვენთვის მსგავს „განსაკუთრებულ მდგომარეობად“. ასევე დასაზუსტებელია „ნაციის მამის“ განსაზღვრება. ალბათ, გარკვეული მიზეზების გამო, ჩვენთვის „ერის ლიდერობა“ სჯობს!

2. ყოველთვის მხიბლავდა!

პასუხის განმარტება: 2.აძ: და მაინც, რაც უფრო მეტს ვფიქრობ, ფოთი — ლაზიკის გზა მირჩევნია

პასუხის განმარტება: 2.ბძ: ახლა რომ წარმოვიდგენ, აბსოლუტურად არ მესმის...არ მესმის, როგორ შეიძლებოდა ამის გაკეთება. მაგრამ ვიცი, რომ ასე უნდა თქმულიყო. მე რომ გადავდგები პრეზიდენტობიდან, მეც რამეს ეგეთს ვიტყვი. ბოკერია წერილს დაწერს და მთხოვს, რომ ნაციის მამად დავრჩე, მე კი ამაყად უარს ვიტყვი — პრეზიდენტობა ჩემი საქმე აღარ არის, მინდა ქართველ ხალხს ერთ რიგით პრემიერ-მინისტრად ვემსახურომეთქი!

ლექსიკონზე მუშაობა გრძელდება...

**ეპილოგი პროლოგით, რომელიც აშკარას ხდის ლექსიკონის მნიშვნელობას:**

შესაძლო გაპრემიერების შესახებ კითხვაზე საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის პასუხი დასავლურმა მედიამ სხვადასხვაგვარად გაიგო.

**The Washington Times** წერს, რომ „საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გაპრემიერების შესაძლებლობას არ გამორიცხავს“. ამის შესახებ ნათქვამია ბენ ბირნბაუმის სტატიაში, რომლის ქართულ ვერსიას **Foreignpress** აქვეყნებს.

„საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა სამშაბათს უარი თქვა იმის გამორიცხვაზე, რომ შეიძლება, პრემიერ-მინისტრი გახდეს და განაცხადა, რომ მას არ უნდა, საკუთარი თავი გაკოტრებულ პოლიტიკოსად (**lame duck**ძ აქციოს იმ დროს, როდესაც მისი საპრეზიდენტო ვადის ამოწურვამდე თითქმის ორი წელი დარჩა“, — წერს **The Washington Times** და ვაშინგტონში სააკაშვილის მიერ ჟურნალისტებისთვის გაკეთებული განცხადება მოჰყავს: „იმდენი რამეა, რამაც შეიძლება, მომავალი ათწლეულების განმავლობაში ბევრი თაობის სიცოცხლე შეცვალოს, რომ ყველაზე ნაკლებად ის მინდა, ჩემს მომავალზე სპეკულაციებით თავი გაკოტრებულ პოლიტიკოსად ვაქციო“.

**The Washington Times**, თავის მხრივ, წერს, რომ „სააკაშვილმა 2010 წელს დაამტკიცა საკონსტიტუციო ცვლილებები, რომელთა თანახმად, ძალაუფლება პრეზიდენტიდან პრემიერ-მინისტრს გადაეცემა, რამაც გააჩინა ვარაუდი, რომ ის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ პრემიერობას შეეცდება“.

ამასთან, გამოცემის ცნობით, სააკაშვილმა კომენტარი გააკეთა მისი და რუსეთის პრემიერ-მინისტრის ვლადიმერ პუტინის შედარებაზე, რომელიც 2000-2008 წ.წ. რუსეთის პრეზიდენტი იყო და მარტში შეეცდება, კრემლში მესამე ვადით მოვიდეს.

„ხანდახან ხალხი მეკითხება, „შენ პუტინად ყოფნას აპირებ?“ აძ საქართველოს იმთავითვე არ შეიძლება, პუტინი ჰყავდეს, რადგან საქართველო რუსეთი არ არის და ბძ ჩვენ ზუსტად ახლა ვაკეთებთ ისეთ რამეს, რაც პუტინის მსგავსი მოვლენების საქართველოში არსებობას სამუდამოდ გამორიცხავს“, — აღნიშნა საქართველოს პირველმა პირმა.

**The Washington Times**-ის ცნობით, ქართული ოპოზიციის ლიდერები მოითხოვდნენ, რომ სააკაშვილს მისი განზრახვები ღიად გაეცხადებინა. კერძოდ, „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერმა ირაკლი ალასანიამ გასულ თვეს **The Washington Times**-თან საუბრისას იმედი გამოთქვა, რომ „პრეზიდენტი იმოქმედებს ჯორჯ ვაშინგტონივით: ორი საპრეზიდენტო ვადის დასრულების შემდეგ წავა და საქართველოს მოსახლეობას ახალი ლიდერის არჩევის შესაძლებლობას მისცემს“.

**Reuters** კი, თავის მხრივ, წერს, რომ „საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი უარყოფს, რომ პრემიერ-მინისტრად დარჩენა სურს“.

„სამშაბათს საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა უარყო ოპოზიციის განცხადებები იმის თაობაზე, რომ მას ხელისუფლებაში პრემიერ-მინისტრად დარჩენა სურს, განაცხადა რა, რომ „მის ქვეყანას პუტინი ვერ ეყოლება“, — წერს გამოცემა.

სოლომონ თერნალი

## ⊙ გაიწმინდეთ სათვალე!

# ქართული ტრანსფორმაციის სასწაული...

## რომელსაც ხედავენ ამერიკელები, მაგრამ ვერ ვხედავთ ჩვენ

**ქართველები რომ სასწაულმოქმედი ხალხი ვართ მიხეილ სააკაშვილის წყალობით, ეს აქამდეც მშვენივრად ვიცოდით, მაგრამ თუ ამ უტყუარ ჭეშმარიტებას თვით მსოფლიოს უპირველესი მონსტრი — ამერიკაც აღიარებდა, ამას კი ვეღარ წარმოვიდგენდით. მაგრამ მოხდა სასწაული, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ოვალურ დარბაზში მიხეილ სააკაშვილთან შეხვედრისას, მთელი პლანეტის გასაგონად განაცხადა, რომ საქართველომ ვარდების რევოლუციის შემდეგ განიცადა არნახული ტრანსფორმაცია და ეს წარმატებით ტრანსფორმირებული ქვეყანა დღეს უკვე თავის რეგიონში დემოკრატიისა და გამჭვირვალობის მოდელია. იგივე სიტყვები გაიმეორა საქართველოს ლიდერთან შეხვედრისას შეერთებული შტატების პირველმა დიპლომატმა ქალბატონმა ჰილარი კლინტონმა.**

პრეზიდენტ სააკაშვილს გული განსაკუთრებით აუჩუყა იმ მიუკერძოებელმა ხოტბა-დიდებამ, რომელიც მსოფლიო ბანკში გამართულ შეხვედრაზე მოისმინა. არადა როგორ გინდა თავი შეიკავო სიხარულის ცრემლებისგან, როცა გაიგებ, რომ შენს თავგანწირულ ბრძოლას კორუფციასთან, უმუშევრობასთან, ეკონომიკურ გაჭირვებასა და სიღატაკესთან, ამ ბანკმა სპეციალური წიგნი (გამოკვლევაძ უძღვნა, ხელისუფალთა მიერ გაწეული რევოლუციური რეფორმატორული საქმიანობა ფართოდ გაანაზოგადა და საქართველოს ამ საარაკო გამოცდილების გასაზიარებლად სხვა ქვეყნებსაც მოუწოდა. თქვენ წარმოიდგინეთ, ჩვენს ქარიზმა პრეზიდენტს ეყო გამბედაობა და მოთმინება, ეს ყველაფერი ისე მიელო და შეეშვინა, როგორც ოფლნაღვარ, დამაშვრალ ხელისუფალს შეეფერება.



— **„ოვალურ დარბაზში მე მოვისმინე ყველაფერი ის, რისი მოსმენაც მსურდა,** — აცხადებს მშვიდად თავდაჯერებული და თვითკმაყოფილი სააკაშვილი, — ამ დარბაზიდან შედეგებით დატვირთული ისე არასოდროს გამოვსულვარ, როგორც ახლა გამოვედი“.

ვერაფერს იტყვი, მართლაც ხვავიანი გამოდგა არა, ამ ჩვენი ხელხვავიანი პრეზიდენტის ამჯერადი ვიზიტი ამერიკაში! სააკაშვილს თუ დავუჯერებთ, მან შედეგებით მაგრად დაზურგულმა დატოვა ობამას ოვალური კაბინეტი, მაგრამ საქართველოში ხომ არიან სხვაგვარად მოაზროვნენიც, ეგრეთ წოდებული სკეპტიკოსები, იგივე მუმიები, სატანები, ვამპირები და პუტინისტები, რომლებსაც, როგორც ხალხური ანდაზა ამბობს, კაცი რიყეზე ქვას ვერ დაანახვებს.

ასეთ შემთხვევაში როგორ უნდა მოიქცეს ხელისუფლება, რომ ამდენი ხნის ნაშრომ-ნატანჯი წყალში არ გადაეყაროს? მთავრობა უნდა ვარგოდეს, აზროვნება შეეძლოს, თორემ გამოსავალი ყოველთვის მოიძებნება. **ამ კონკრეტულ შემთხვევაში ხელისუფლება ასე მსჯელობს: შეიძლება კაცი საქართველოში ცხოვრობდეს, უყურებდეს ანაკლიისა და ლაზიკის მშენებლობას, ბათუმის, ქუთაისის, სიღნაღის ხელმეორედ დაბადებას, მაგრამ მაინც თვალებს იბრმავებდეს. ასეთ დროს მან უნდა დაუჯეროს არა საკუთარ ბრმა თვალებს, არამედ უცხოელთა ხედვებს. მთავარი ის კი არ არის, ჩვენ რას ვხედავთ, არამედ ის, რასაც უცხოელები ხედავენ და აფასებენ. ამიტომ არის საჭირო გავიწმინდოთ სათვალე და ვუყუროთ ახალ, ტრანსფორმირებულ საქართველოს არა საკუთარი თვალით, არამედ უცხოელის თვალით(!).**

იხ. 4 გვ.

„რჩეულიშვილ-კერვალიშვილების ბიზნესი“

# მენაშენეების ფულით აშენებული სასტუმროები...

„ცენტრ-პოინტის“ მიერ დაზარალებულმა მენაშენეებმა ამავე სამშენებლო კომპანიის ქმედებების ამსახველი ფოტოგამოფენა და ფილმის ჩვენება მოაწყვეს. ფოტოგამოფენაზე ერთმანეთის საპირისპიროდ წარმოედგინათ ფოტოები, სადაც რჩეულიშვილებისა და კერვალიშვილების ფუფუნებითი ყოფის ფონზე ასახული იყო მათი სამშენებლო კომპანიის მიერ დაზარალებული ადამიანების ცხოვრება; ერთმანეთს ცვლიდა კერვალიშვილების მდიდრული აპარტამენტები და კარკასის მდგომარეობაში დატოვებული სახლები, დაუმთავრებელი მშენებლობები...

სულ მალე „ცენტრ-პოინტის“ წინააღმდეგ სარჩელი საქართველოს მთავარ პროკურატურაში შევა სისხლის სამართლის მიმართულებით. მენაშენეებს აინტერესებთ, სად წავიდა „ცენტრ-პოინტში“ მათ მიერ შეტანილი თანხები?!

„კონსერვატიული პარტიის“ წევრი ლაშა ჩხარტიშვილი აცხადებს, რომ „დექსუსისა“ და „ცენტრ-პოინტის“ საქმიანობა სხვა არაფერია, თუ არა აფიორა. მთლიანობაში, ეს ერთსა და იმავე მფლობელობაში არსებული კომპანიებია და „დექსუსი“ მხოლოდ ფიქტიური კომპანიაა.

„ექვსი ათასზე მეტი ადამიანი დაზარალდა კერვალიშვილ-რჩეულიშვილის აფიორის შედეგად, რომელსაც ზურგს უმაგრებს მიხეილ სააკაშვილი, რადგან ყველას კარგად ახსოვს, ვინ არის დღეს კერვალიშვილი, ის არის ვიცე-სპიკერი „ნაციონალების“ მხრიდან და შესაბამისად, მისი „სათნოებით“ აღსავსე სახის უკან იმალება სააკაშვილის ავი ღიმილი. მენაშენეებს დამატებით უკანონოდ სთხოვენ თანხის გადახდას, რაც ბევრი მათგანისთვის შეუძლებელია. ეს ნიშნავს, რომ ორჯერ მიჰყიდონ მათ საკუთარი ბინა“, — აცხადებს ლაშა ჩხარტიშვილი Presage.tv-სთან საუბარში.

მისი თქმით, ამ ფოტოებზეც ნათლად ჩანს კორუფციული პირამიდის აგურები, მათი უსაზღვრო სიმდიდრე, რაც სხვების სიცოცხლის ხარჯზე შექმნეს.

„აქ წარმოდგენილია მრავალი დაუმთავრებელი კორპუსი, რომელიც ამ 6200 ადამიანის საცხოვრებელი სახლი უნდა ყოფილიყო. ამის გამო ბევრმა მათგანმა სახლი გაყიდა, ან წლობით იმუშვა უცხოეთში; რა თქმა უნდა, არის გამონაკლისიც, ვისაც შესაძლოა, სხვა ბინაც ჰქონდეს, მაგრამ ბევრი მათგანი დევნილად იქცა. აქ ჩანს სისხლით მორწყული სასახლეები კერვალიშვილების, რჩეულიშვილების, ქალბატონი მაია იქნება, ბატონი ვახტანგი თუ რუსუდან კერვალიშვილი, რომელიც ფსევდო სათნოებით გამოირჩევა; მას ხშირად ვხედავთ დღესასწაულებზე, ღონისძიებებზე, სადაც ის, ქველმოქმედის ნიღბით შემოსილი, საუბრობს სიკეთეზე მაშინ, როდესაც ის არის 6200 ადამიანის უბედურების მიზეზი. ამიტომ ეს ფარისევლობა განსაკუთრებით გამაღიზიანებელია. ღია სახის დამნაშავე სჯობს ფარისეველ დამნაშავეს, რომელიც ორმაგად დამნაშავეა“, — აღნიშნა ლაშა ჩხარტიშვილმა.

დეპუტატ დიმიტრი ლორთქიფანიძის თქმით, „ცენტრ-პოინტის“ მიერ დაზარალებული ადამიანების მოთხოვნა სრულიად ლეგიტიმურია, რაც სასამართლოს საბოლოო აქტებითაა განმტკიცებული.

„საუბარია ორგანიზებულ დანაშაულებრივ ჯგუფზე. ახლა უდანაშაულობის პრეზუმფციას დავიცავ, რადგან არ მინდა, კონკრეტულად ვინმეს ხელი დავადო, მაგრამ ჩემი ამოცანაა, სამართლებრივი შეფასების პროცედურა დროულად დაიწყოს. მოგეხსენებათ, ჩვენ ვითხოვდით საპარლამენტო საგამოძიებო კომისიის შექმნას; რა თქმა უნდა, საკუთარ შვილს ისინი თავს არ მოჭრიან... ვფიქრობ, ეს არ მოხდება ამ ხელისუფლების პირობებში, მიუხედავად იმისა, რომ ფრაქციამ „ერთობა სამართლიანობისთვის“ ოფიციალურად მიმართა მთავარ პროკურატურას საქმის აღძვრასთან დაკავშირებით. პოლიტიკური სისტემის რეფორმა განხორციელდება თუ არა, ერთ-ერთი პირველი საკითხი „ცენტრ-პოინტის“ მიერ დაზარალებული ადამიანებისთვის სამართლიანობის აღდგენის პროცედურის დაწყება იქნება, ასევე, — კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებული ადამიანებისაც. „ცენტრ-პოინტში“ ადამიანებს შეტანილი აქვთ 120 ათასი, 78 ათასი, კოლოსალურ თანხებზეა საუბარი“, — აცხადებს დიმიტრი ლორთქიფანიძე.

აქვე დეპუტატი Presage.tv-ს „ცენტრ-პოინტის“ მიერ თანხების მისაზიდად გამოყენებულ ერთ-ერთ სქემას უმხელს, რაშიც ტელეკომპანია „რუსთავი 2“-იც თანამონაწილეობდა.

„გარდა იმისა, რომ „ცენტრ-პოინტმა“ ბინათმშენებლობის კუთხით მიიზიდა თანხები, მანვე „ბიზნეს-კურიერის“ პირდაპირ ეთერში, მაღალი ავტორიტეტულობის მქონე გადაცემაში, შექმნა საინვესტიციო ფონდი. ამით თაღლითური სქემისთვის მეტად ხელსაყრელი ინსტრუმენტი შეარჩიეს; ანუ, ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის მეშვეობით სანდოობის მაღალი ხარისხი გამოიყენეს, სადაც მოიწვიეს ბატონი რჩეულიშვილი და მან მეტად მიმზიდველი განცხადება გააკეთა, რითაც, ცხადია, ჩვენი მამების თაობის ადამიანების უმრავლესობა მოტყუვდებოდა. აქ განხორციელდა ზუსტად პირამიდული სქემა, რომელიც თავის დროზე გააკეთა ბანკმა „აჩიმ“, „ოქროს თასმა“; ამ შემთხვევაშიც, ანალოგიური დადაისტური, ტრივიალური მეთოდი გამოიყენეს ფულის მოსაზიდად.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ტელეკომპანია „რუსთავი-2“ დამოუკიდებელი მაუწყებელი არ არის და მის უკან პოლიტიკურ კონიუნქტურას დაქვემდებარებული ძალები დგანან, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ბატონ ვახტანგს პატივი სცეს იმისთვის, რათა მას მიეზიდა თანხები. შესაბამისად, მოგვიანებით ამ თანხების დიდი ნაწილი ნაციონალური მოძრაობის საარჩევნო კამპანიას და კონკრეტული მაჟორიტარი დეპუტატების საარჩევნო კამპანიას მოხმარდა. მე ბრალმდებელი არ ვარ, მაგრამ პირდაპირ ვაცხადებ, რომ აშკარად ჩანს კარგად ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფი, რომელიც მხოლოდ „ცენტრ-პოინტს“ არ მოიცავს, არამედ სახელისუფლო რგოლებსა და სხვადასხვა უწყებას, რომლის გამოვლენის ვალდებულება ეკისრება გამოძიებას, რისი იმედიც ამ ხელისუფლების პირობებში არ გვაქვს“, — გვითხრა დეპუტატმა.

„ცენტრ-პოინტისგან“ დაზარალებული ალეკო დოლიძე აცხადებს, რომ ჯერ კიდევ 2007 წელს უნდა მიეღო აშენებული ბინა, მაგრამ ამას დაემთხვა ომი, კრიზისი და მშენებლობა გაჩერდა. თუმცა დაზარალებული მენაშენე მიიჩნევს, რომ კრიზისი მხოლოდ ომს არ გამოუწვევია და ეს „ცენტრ-პოინტის“ მიერ დასაწყისშივე იყო დაგეგმილი.

„ეს იყო სამშენებლო ფინანსური პირამიდა, რომელიც ჩვენზე აღასრულეს. ესაა ნათელი მაგალითი, თუ რატომ არ უნდა ერეოდეს სახელმწიფო კერძო კომპანიის საქმიანობაში. სწორედ მაღალჩინოსნების უშუალო ჩარევამ განაპირობა ამ ფირმის წარუმატებლობა. მათ აიძულებდნენ, ისეთ ეკონომიკურად წამგებიან პროექტებში ჩაედოთ ჩვენი ფული, როგორიცაა სასტუმროების ქსელის — „რჩეულის“ აშენება“, — აცხადებს მენაშენე ალეკო დოლიძე.

მისივე თქმით, ეს სასტუმროები „ცენტრ-პოინტის“ მენაშენეების, ანუ მათივე ფულით შენდებოდა. კერძოდ, სასტუმრო ქუთაიში, ცხინვალის რეგიონში, რაც უფრო პოლიტიკური პროექტი გახლდათ.




იხ. 9 გვ.

გაიწმინდეთ სათვალე!

# ქართული ტრანსფორმაციის სასწაული...

(მესამე გვერდიდან)

ვეთანხმები მთავრობის გონივრულ მსჯელობას. როგორც ჩანს, ამას სააკაშვილის ბოლო ამერიკული ტურნეც ცხადყოფს, ამერიკელები ჩვენს სასწაულებრივ რეფორმებს ქართველებზე უკეთ ხედავენ (ამას სათვალის გაუწმენდავადაც ვგრძნობთ), მაგრამ, რაც შეეხება ამ რეფორმების შედეგებს, აი ამის ჭვრეტაში კი აშკარად მოიკოჭლებენ. ეს არც უნდა გაგვიკვირდეს, იმათ რეფორმების გარეგანი ბრჭყვიალი სჭრით თვალებს, ჩვენ კი, საქართველოს მოქალაქეებს, მისი შედეგები გვიწვავს ზურგს.

არის უტყუარი მონაცემები, რომ ბოლო წლებში, სანამ ჩვენ რეფორმების განხორციელებით ვიყავით გართული და ბიზნესის დაწყების სიიოლით თავს ვიწონებდით, თურმე ჩვენი მეზობელი აზერბაიჯანი და სომხეთი ჩვენზე დინამიკურად ვითარდებოდნენ. საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასებით, ერთ სულ მოსახლეზე წარმოებული მთლიანი პროდუქტის მოცულობის დონით, აზერბაიჯანი საქართველოს უკვე 2,4-ჯერ და მეტად უსწრებს, ხოლო 2012 წლისთვის 3,5-ჯერ გადააჭარბებს. აქვე ვიტყვით, რომ ინვესტიციების აბსოლუტური მოცულობით, რომლის ზრდითაც ასერიგად ამაყობს საქართველოს ხელისუფლება, ბოლო მონაცემებით, მოსახლეობის ერთ სულზე აზერბაიჯანს 5-ჯერ, ხოლო სომხეთს — 3-ჯერ ჩამოვრჩებით(!).

ჰოდა, აქედან გამომდინარე, ზოგ ვინმეს (უფრო ინტრიგანსძ შეიძლება კითხვაც გაუჩნდეს — მსოფლიო ბანკის რეკომენდაციით, აზერბაიჯანელები და სომხები საქართველოში გამოცდილების გასაზიარებლად რომ ჩამოვლენ, რა უნდა ვურჩიოთ, საკუთარ მიღწევებს შეეშვით და ჩვენს ჩამორჩენილობას ეზიარეთო?! ამათ არა, მაგრამ თავად ამერიკელებს შეიძლება ზოგი რამ ვასწავლოთ, თუნდაც სამომხმარებლო საქონლის (ხორცი, რძე, კვერცხი, ბენზინი და ა. შ.ძ ფასების ზრდის მხრივ, რომლითაც ვალუტის ოფიციალური კურსით, საქართველო უკვე უსწრებს შეერთებულ შტატებს, მაშინ როდესაც ხელფასებით მხოლოდ 1/8-ის დონეზეა.

თუმცა არც ისეთი ხელმოცარულები ვართ, რომ არაფერი გვივარგოდეს და მეზობლებს, როცა ჩვენს მიღწევებსა და გამოცდილებას გაეცნობიან, ზოგ რამეზე თვალი არ გაექცეთ. ამის დასტურად მათ, მაგალითად, შევთავაზებდი ახლახან გამოცემულ მთავრობის №489 დადგენილებას, რომელიც თითოეულ ჩვენგანს გვამცნობს, რომ მიმდინარე წლის პირველი იანვრიდან, თუ მობილური ტელეფონით თვეში 5 ლარზე მეტს დავხარჯავთ, სამაშველო სამსახურის (112-ის) საფასური 20 თეთრი (იურიდიული პირებისთვის — 50 თეთრი) ანგარიშიდან ავტომატურად დაგვექვითება. ოფიციალურად ეს სახელმწიფოს მიერ დადგენილი ტარიფია, რომელიც სხვა გადასახადებისგან იმით არის გამორჩეული და ორიგინალური, რომ დავრეკავ თუ არ დავრეკავ სამსახურის ნომერზე, ის მაინც უნდა გადავიხადო(!).

და საერთოდ, საქართველოში, რომელ კანონსა თუ გადასახადს მოკიდებთ ხელს, რომ ის თავისი ორიგინალობითა და „სიურეალისტური“ ხედვით უცხოელთა ცხოველ დაინტერესებას არ იწვევდეს. გაიხსენეთ, რა აჟიოტაჟი გამოიწვია თავის დროზე დენზე მიბმულმა წყლის გადასახადმა და შემდეგ იმავე დენზე ამირანივით ჯაჭვით მიბმულმა ნაგვის გადასახადმა, რომლის ავტორობას, თუ არ ვცდები, თბილისის მერი გიგი უგულავა ჩემულობს. ისე, კაცმა რომ თქვას, ჩვენ არა ვართ მიკვირდისა და მატრაბაზი ხალხი, თორემ ზოგ ქვეყანაში ასეთი უნიკალური გამოგონებისთვის უგულავა შეიძლება ნობელის პრემიაზეც წარედგინათ(!).

რაც მთავარია, ეს ყველაფერი ქართული ეკონომიკის საოცრებაა, რომელიც ევროპული რეცესიის ფონზე ყაყაჩოსავით ყვავის და უცხო თვალს ანდამატივით იზიდავს. უფრო მთავარი კი ის არის, რომ საქართველოს დემოკრატიულმა ხელისუფლებამ ხსენებული დადგენილებებით დემოკრატიული არჩევნების წინაშე დაგვაყენა — თუ გინდა ნაკლები ნაგვის გადასახადი დაგიგროვდეს, ცოტა დენი დაწვიო, ასევე, თუ გინდა 20 ან 50 თეთრი არ გადაიხადო, ენას კბილი დააჭირე და 5 ლარისაზე მეტი არ ილაქლაქოო.

ჯანდაბას, ამას ყველაფერს როგორღაც მოევლება, მაგრამ მე ახლა უფრო იმაზე ვფიქრობ, ამერიკასთან თავისუფალი ვაჭრობის განვითარებასთან დაკავშირებით ობამას დანაპირებმა ჩვენი პრეზიდენტი ტყუილად ხომ არ ააცუნდრუკა? საქმე ის გახლავთ, რომ ჩვენ ახლა უცხოეთში საექსპორტოდ მეორადი ავტომობილების გარდა არაფერს ვაწარმოებთ (იმასაც სომხეთი, აზერბაიჯანი, შუა აზიის ქვეყნები იტაცებენძ და ამერიკაში სავაჭროდ რა უნდა შევიტანოთ? ერთადერთი, რის იმედიც შეგვიძლია ვიქონიოთ, ობამას მიერ მოწონებული დემოკრატიული რეფორმებია, მაგრამ ამერიკას ის თავისიც თავსაყრელად აქვს და ჩვენი რაში სჭირდება? თუმცა, ამხელა გამოცდილების ქვეყანას არაფერი შეეშლება, ადგება და ჩვენებურ გამჭვირვალე რეფორმებს რეექსპორტით სულაც აფრიკისა და აზიის განვითარებად ქვეყნებში შეიტანს!

**ოთარ ხუციშვილი**

◉ პროკურატურის საყურადღებოდ!

# ბობოხიძის ბრიყვული გულწრფელობა

**რამდენიმე დღის წინათ presage.tv იმის შესახებ წერდა, ხონში „ნაციონალების“ ადგილობრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელი, პარლამენტარ აკაკი ბობოხიძის ძმა, ლევან ბობოხიძე, რამდენიმე თავისი ხელქვეითის მეშვეობით თუ როგორ იღებს საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებულებისგან ყოველთვე ხელფასის 15-20%-ს და შემდეგ, ეს თანხა როგორ ნაწილდება „პარტიული საქმიანობისთვის“.**

ცხადია, ეს ადამიანები, ვისაც „ნაციონალებისთვის“ ყოველთვიურად უწევთ საკუთარი ხელფასიდან სოლიდური თანხის გადახდა, ამაზე ღიად ვერ საუბრობენ, მაგრამ ამ რაიონში ნებისმიერი საბიუჯეტო ორგანიზაციის თანამშრომელი იძულებულია, ეს ხარკი გადაიხადოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი სამსახურს დაკარგავს და ცხადია, ამ ადამიანებს ურჩევნიათ, რომ ხელფასიდან გარკვეული თანხა გადაიხადონ, ვიდრე სამსახურის გარეშე დარჩნენ.

ძნელი სათქმელია, ეს რამდენი ხანია გრძელდება, მაგრამ presage.tv-ს გამოქვეყნებული ჰქონდა ის უწყისი, სადაც მოცემულია 28 კაცის სია და ნაჩვენებია, რომ „ნაციონალების“ აქტივისტები 50 ლარიდან 300 ლარამდე ხელფასს იღებენ, რაც საერთო ჯამში შეადგენს 3850 ლარს და, რომელიც საჯარო სამსახურის მოხელეებისგან არის აკრეფილი.

ამ ინფორმაციის გამოქვეყნების შემდეგ „თავისუფალი დემოკრატების“ წარმომადგენელმა, პარლამენტარმა გია ცაგარეიშვილმა პროკურატურას ამ საქმის შესწავლა მოსთხოვა, მაგრამ ხელისუფლების მხრიდან მხოლოდ ის კომენტარები გაკეთდა, რომ ეს ინფორმაცია მათთვის უცნობია და არ შეიძლება, სიმართლეს შეესაბამებოდეს.

არადა, ლევან ბობოხიძე ხონის ადგილობრივ გაზეთთან პირდაპირ აღიარებს, რომ საბიუჯეტო ორგანიზაციაში დასაქმებულებისგან ფულის შეგროვება ნამდვილად მისი მითითებით ხდება და იმასაც აღნიშნავს, რომ ასე თუ არ მოხდება, მათ სამსახურის დატოვება მოუწევთ. რაც მთავარია, იგი ამაში ვერც კანონდარღვევას ხედავს და უკვირს, ადამიანი სამსახურს რომ იშოვნის, ხელფასის ნაწილის გადახდაზე უარი როგორ უნდა თქვას?

ბობოხიძესთან ამ თემაზე ინტერვიუ 2008 წელს არის გამოქვეყნებული და, როგორც ჩანს, ხელფასიდან ნაციონალური ხარკის გადახდა წლების განმავლობაში გრძელდება.

ინტერვიუ ხონის ადგილობრივი გაზეთ „თაობის“ 2008 წლის 26 თებერვლის ნომერშია გამოქვეყნებული. presage.tv ინტერვიუს იმ ნაწილს, სადაც ლევან ბობოხიძე ფულის შეგროვების საკითხზე საუბრობს უცვლელად გთავაზობთ. მედიაში გამოქვეყნებული მასალა კი მტკიცებულებად ითვლება და, წესით, პროკურატურამ საქმე ამის შემდეგ მაინც უნდა აღძრას.

ინტერვიუს სტილი დაცულია.

**ჟურნალისტი:** „ერთი საკითხიც, საუბრობენ იმაზე, რომ სახელმწიფო სტრუქტურაში დასაქმებულთა კატეგორიას პარტიის ინტერესით გარკვეული თანხა ეჭრება ხელფასზე. თუმცა გაცილებით ცოტამ თუ იცის, რომ ამ თანხიდან დახმარებებიც ხორციელდება. ვფიქრობ, საჭიროა მეტი ისაუბროთ ამ საკითხზე.

**ლევან ბობოხიძე:** პარტია არის ერთი გუნდი, — საძმო, სამეგობრო დავარქვათ. ეს ადამიანები, რომლებიც დასაქმებულები არიან დღეს და პარტიის საწევროში დებენ გარკვეულ თანხას, არიან ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრები. შეიძლება მანდატი არ უდევთ ჯიბეში, მაგრამ ჩვენს გვერდით მდგომი ხალხია და ეს თანხის დადება თავად ამ ხალხს არ აწუხებს.

**— დაგეთანხმებით, ღიად პრეტენზიას არავინ გამოთქვამს.**

— ელემენტარული რამაა, შემცირების ფონზე, სამსახურში დარჩენილ ადამიანს ულირს იმ რაღაც თანხის გადახდა. თუ სად მიდის ეს ფული, რომელიც ჩემი ფულია, რადგან საკუთარი ხელფასიდანაც არის მასში წილი, დაინტერესებულ პირს შეუძლია, გადაამოწმოს, რეგულარულად ვეხმარებით ხუთშვილიან ოჯახებს, ასევე — ხელმოკლე ოჯახებს. ყველას ვერ დავეხმარებით, რა თქმა უნდა, ჩვენი ვალია შემცირებაში მოყოლილ ჩვენს თანაგუნდელებზე ვიზრუნოთ, დავეხმაროთ. ამ კარგ საქმეს სწორედ ჩვენს მიერ დადებული ოც-ოცი და ათ-ათი ლარით ვაკეთებთ. ეს, პარტიის ბიუჯეტი კი არა, ჩვენი ბიუჯეტია, რომელიც ნდობის ფაქტორზეა დამყარებული და ჩვენს შორის გამჭვირვალეა. თანხის დადება ხდება ჩვენივე სურვილიდან გამომდინარე, — ნებაყოფლობითია.

თუმცა, იმასაც ვიტყვი, რომ თუ შემცირების საკითხი დადგება, ეს პირველ რიგში შეეხება სწორედ მას, ვინც ამ საერთო საქმეში გვერდით არ გვედგა. ამიტომ, შეიძლება მთლად ნებაყოფლობითი არც იყოს. ეს კარგი, ჯანსაღი ულტიმატუმია“.



* * *

ეს არის ინტერვიუს ის ნაწილი, სადაც ბობოხიძე ფულის „შეწერის“ თემაზე საუბრობს. მანამდე კი ერთი საინტერესო პასაჟიცაა, სადაც კარგად ჩანს ნაციონალების პოლიტიკა.

**ჟურნალისტი:** „დამეთანხმებით, დღეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა პარტიულობა. გაჩნდა აზრი, რომ ხონში და ზოგადად ქვეყანაში სამსახურებრივი, თანამდებობრივი წარმატებისთვის საჭიროა მინიმუმ ნაციონალი იყო.

— მსოფლიო მაშტაბითაც ასეა, არათუ ხონში და საქართველოში. სხვაგვარად არ შეიძლება. ადამიანები მმართველობით სტრუქტურაში კარიერას პირველ რიგში აკეთებენ პარტიით და არა დავუშვათ, ნიჭითა და შესაძლებლობით. შემცირებები ხდება, როგორც გითხარით და ხმამაღლა ვაცხადებ, რომ შემცირების დროს გვერდი აევლება იმას, ვისაც პარტიის წინაშე აქვს დამსახურება. რეალურად დღეს საქართველოში ასეთი სიტუაციაა, იძულებული ვხდები ვიმოქმედო ისე, როგორც ნებისმიერი პარტიის თავმჯდომარე იმოქმედებდა. ჩემს ადგილზე სხვა როგორ მოიქცეოდა?! ყურადღება ექცევა ნაციონალური პარტიის წევრებს და იმ ადამიანებს ვინც ჩვენ მოგვიყვანა ხელისუფლებაში“.

**როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს არის ბატონი ლევან ბობოხიძის ინტერვიუს ნაწილი. იმედი გვაქვს, რომ ამ ინტერვიუთი პროკურატურაც დაინტერესდება და პარტიის გენმდივანი ზურაბ მელიქიშვილიც აღარ გვეტყვის — „რა სისულელეს ამბობთ, ამის შესახებ არაფერი ვიციო“.**

**თეონა ხარაბაძე**

◉ შედეგების შეჯამება მაღალი ფასების ფონზე!

# ავტოგასამართი სადგურების „ოსკაროსნები“

**ნავთობპროდუქტების შიდა ბაზარი საქართველოში ბოლო წლების მანძილზე არნახული ტემპით რომ ვითარდება, ეს არავითარ ეჭვს არ იწვევს. საგრძნობლად ამაღლდა საწვავის ხარისხი, ქვეყანაში მკვეთრად შემცირდა უხარისხო ნავთობპროდუქტების იმპორტი და მოხმარება, რაც დიდად უწყობს ხელს გარემოს გაჯანსაღებას, შეუდარებლად გაკეთილშობილდა მოქმედი ავტოგასამართი სადგურების დიზაინი, მოხდა კიდევ არაერთი სასიკეთო ძვრა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ნავთობპროდუქტების ბაზარზე დღემდე ასევე მნიშვნელოვანი ხარვეზებიც არსებობს — საწვავზე გაუმართლებლად მაღალი ფასები, საცხებ-საპოხი მასალების ფალსიფიცირება, რასაც საშველი არა და არ დაადგა, კიდევ სხვა, თუმცა გასული კვირის მიწურულს სასტუმრო „ქორთიარდ მერიოტის“ საკონფერენციო დარბაზში ნავთობის მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირისა და ბაზარზე მოღვაწე კომპანიების, საბანკო, საქმიანი და პოლიტიკური, ასევე სპორტული წრეების, საზოგადოებისა და მასმედიის წარმომადგენელთა თავშეყრის მიზეზი შარშანდელი მუშაობის შედეგად ამ სფეროში მომუშავეთა შორის ყველაზე წარმატებული კომპანიების დასახელება და დაჯილდოება გახლდათ.**

— ქვეყნის ნავთობპროდუქტებით მომარაგების ბაზარზე წლის მანძილზე მოწინავე კომპანიების დაჯილდოებას დღეს მერვედ ვატარებთ, — აღნიშნა ნავთობკომპანიებს შორის დარგის „ოსკარებით“ დაჯილდოების ცერემონიის გახსნაზე ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირის თავმჯდომარემ ვანო მთვრალაშვილმა. — ნავთობპროდუქტების ბაზარი ეროვნული ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე დინამიურად განვითარების გზას დამდგარი სფეროა. აქ მოღვაწე კომპანიებს შორის სხვადასხვა ნომინაციაში საუკეთესოთა გამოვლენა 2004 წლიდან დავიწყეთ, ჯერ კიდევ იმ დროიდან, როცა შიდა ბაზარზე კონტრაბანდული საწვავის წილი 70 პროცენტს აღემატებოდა. სადღეისოდ მდგომარეობა რადიკალურად შეცვლილია, ბაზარზე კონტრაბანდული საწვავი საქართველოში, ფაქტობრივად, აღარ შემოდის, თუმცა კი მრავალ განვითარებულ ქვეყანაშიც კი ეს საკმაოდ სერიოზულ პრობლემად რჩება. გარდა ამისა, საქართველოში ნავთობპროდუქტების ბაზარი ყოველგვარი გარეშე წნეხისგან თავისუფალია, რაც კომპანიებს შორის თავისუფალი კონკურენციისთვის საუკეთესო ხელშემწყობი გარემოებაა, რასაც, ზოგადად, სექტორის მუშაობის ყოველწლიური შედეგები მოწმობს, რომლებიც განუხრელად უმჯობესდება.

ამის კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა ნავთობპროდუქტების ბაზარზე მოღვაწე კომპანიების შარშანდელი შედეგების მიხედვით გამარჯვებული ფირმების დღევანდელი დაჯილდოება, რაშიც, ვფიქრობ, თავადაც დარწმუნდებით, — თქვა მისალმების დასასრულს ვანო მთვრალაშვილმა.

ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირმა 2011 წლის შედეგების მიხედვით გამარჯვებულად გამოაცხადა და მოქანდაკე ირაკლი წულაძის დამზადებული ექსკლუზიური სამახსოვრო ჯილდო გადასცა საქართველოში განხორციელებულ ყველაზე დიდი ინვესტიციისთვის, რომელმაც შარშან 53,47 მილიონი დოლარი შეადგინა, კომპანია „სოკარ ჯორჯია პეტროლიუმის“ წარმომადგენელს. აღინიშნა, რომ საქართველოში მოღვაწეობის პერიოდში კომპანიის მიერ განხორციელებული ინვესტიციების მთლიანმა ოდენობამ 100 მილიონ დოლარს გადააჭარბა. ნომინაციაში — „სამარკო ნიშნით მოქმედი ყველაზე დიდი კომპანია“ გაიმარჯვა „ვისოლ პეტროლეუმ ჯორჯიამ“, რომლის წარმომადგენლებს სხვადასხვა ნომინაციებში მოპოვებული სხვა არაერთი ჯილდოს მისაღებად ტრიბუნაზე ასვლა იმ საღამოს კიდევ რამდენჯერმე მოუწიათ. კერძოდ, კომპანია „ვისოლი“ „სოკართან“ ერთად მოწინავე გახდა ნომინაციაში „განხორციელებული საუკეთესო ინფრასტრუქტურული პროექტისთვის“ — მრავალფუნქციანი კომპლექსების მშენებლობისთვის. კიდევ ერთი გამარჯვება „ვისოლმა“ იმაში მოიპოვა, რომ ბიზნესში სხვებზე მეტი ხალხი — 3 ათასზე მეტი კაცი — ჰყავს დასაქმებული. საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ გიორგი ასანიძემ „ვისოლს“ სპორტის სფეროსთვის გაწეული დახმარებისთვის ისევე, როგორც „გალფ ჯორჯიასა“ და „რომპეტროლს“ საპატიო ჯილდოები გადასცა. მაგრამ „ვისოლის“ წარმატებები ამით არ დასრულებულა და კომპანიის წარმომადგენელს კიდევ ერთი „ნავთობის „ოსკარი“ გადაეცა საქველმოქმედო საქმიანობისთვის. მართლმადიდებლური ეკლესიების შენებისა და რეკონსტრუირების გარდა, კომპანიამ ბევრი რამ გააკეთა სოციალურად დაუცველი ოჯახების დასახმარებლად. იგი წლების მანძილზე ფონდ „იავნანასთან“ მჭიდროდ თანამშრომლობს, რა დროსაც მასთან ერთად 62 ოჯახს ბინა შეუძინა და ოჯახურ გარემოში ცხოვრების საშუალება 800-ზე მეტ ბავშვს მისცა.

ჯილდო წლის მანძილზე ყველაზე სწრაფი განვითარებით მოღვაწეობისთვის გადაეცა ნავთობკომპანია „გალფ პეტროლიუმის“ წარმომადგენელს — შარშან საქართველოში მან 130 ავტოგასამართი სადგური გახსნა. ნომინაციაში „საუკეთესო სერვისი“ გამარჯვებულად აღიარეს „თეგეტა მოტორსი“, რომელიც საქართველოში მსოფლიოში ცნობილი დაახლოებით 300 ბრენდის წარმომადგენელია.

დამსწრეთა წინაშე გამოსულმა ფინანსთა მინისტრმა დიმიტრი გვინდაძემ საგანგებოდ აღნიშნა, რომ წლის შედეგების მიხედვით საუკეთესო კომპანიების გამოვლენით ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირმა კარგ კორპორაციულ პრაქტიკას ჩაუყარა საფუძველი, ხაზი გაუსვა იმ დიდ მნიშვნელობას, რაც ინვესტიციების არა მარტო ნავთობპროდუქტების დარგში, არამედ სხვა სფეროებში ჩადებასაც აქვს და მისდამი დაქვემდებარებული სამინისტროს კომპანიებთან დიალოგის გამართვის მზადყოფნა გამოთქვა. მან საქართველოს ეკონომიკაში შეტანილი წვლილისთვის ჯილდო კომპანია „შავი ზღვის ტერმინალის“ წარმომადგენელს გადასცა. მინისტრმა ასევე დაასახელა საქართველოში ყველაზე სტაბილურად მოღვაწე უცხოური ნავთობკომპანია — ესაა „რომპეტროლი“ (ამსტერდამი, ჰოლანდია), რომელიც მსოფლიოში 50 კომპანიას აერთიანებს.

სხვადასხვა ნომინაციაში გაიმარჯვეს ასევე კომპანიებმა „სოკარმა“, „GT-გრუპმა“ და „ფასტ პლუსმა“, ხოლო მთავარი გამარჯვებული — ნავთობპროდუქტების სექტორში ყველაზე დიდი გადამხდელი „სოკარ ჯორჯია პეტროლიუმი“ გახდა, რომელმაც წლის განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტში 197,6 მილიონი ლარი შეიტანა.

**ოთარ ტურაბელიძე**

◉ ჩვენი პრესდაიჯესტი

### ექსკლუზიური ინტერვიუ ბიძინა ივანიშვილთან

„ასავალ-დასავალში“ იბეჭდება ვრცელი ექსკლუზიური ინტერვიუ „ქართული ოცნების“ ლიდერთან, ბიზნესმენ და ქველმოქმედ ბიძინა ივანიშვილთან.

— ეს ხელისუფლება ვერ შეაჩერებს ჩვენს გამარჯვებას, — ამბობს იგი, — თუ ოცი და ოცდაათი პროცენტის გაყალბება მოინდომა ხელისუფლებამ, რა თქმა უნდა, მსგავს შემთხვევაში ჩვენ ანგელოზები ვერ ვიქნებით! დიახაც, ქუჩაშიც დავდგებით და ხმებსაც დავიცავთ! გიმეორებთ: კანონით განსაზღვრული ყველა მეთოდით დავიცავთ ჩვენს ხმებს!

**„ასავალ-დასავალი“.**

### „აფხაზეთში ქართული ეკლესიის იურისდიქცია უნდა შენარჩუნდეს!“

— აცხადებს რუსეთის საპატრიარქო. რუსეთის პატრიარქმა კირილმა ჩვენს პატრიარქ ილია II-ს ოფიციალურად განუცხადა, რომ ის აფხაზეთსა და სამაჩაბლოს საქართველოს ნაწილად აღიარებს.

**„ახალი თაობა“.**

### პრეზიდენტი და ტყუილი

ევროპაში ყველაზე დიდი სავაჭრო ცენტრი საქართველოშია, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ყველა დაპირება შეასრულა, მმართველობის ახალ სისტემაზე საპარლამენტო არჩევნების შემდეგ გადავალთ — და ა. შ. ეს არის მცირე ნაწილი იმისა, რაზეც საქართველოს პრეზიდენტი აშშ-ში შეხვედრებზე საუბრობდა.

პოლიტოლოგ რამაზ საყვარელიძის აზრით: „მე მაინც ვფიქრობ, რომ უფრო მეტად საქმე გვაქვს უსარგებლო ტყუილთან და, უბრალოდ, მის ხასიათშია გამომგონებლობის სიყვარული“.

**„მთელი კვირა“.**

### „ივანიშვილის ამერიკელი ლობისტები მალე საქართველოში ჩამოვლენ“

„კვირის პალიტრა“ დაუკავშირდა აშშ-ში მცხოვრებ ერთ-ერთ ქართველს (მან ინკოგნიტოდ დარჩენა ისურვაძ, რომელიც ერთ-ერთ გავლენიან ლობისტურ კომპანიაში მუშაობს. იგი ბევრად უფრო გავლენიანი კომპანიაა, ვიდრე „პოდესტა გრუპი“ და ამომრჩეველთა დიდი კონტინგენტი ჰყავს: წამყვანი ექსპერტები, გადამდგარი პოლიტიკოსები და გენერლები. მათი ნაწილი საქართველოში ჩამოვა და დაეხმარებიან ბიძინა ივანიშვილს პოლიტიკური პროგრამის ფორმირებაში.

**„კვირის პალიტრა“.**

### სკანდალური ინტერვიუ ნინო ბურჯანაძესთან

„ცხრა თვის განმავლობაში გაჩუმებული ვიყავი, ახლა კი ნება მომეცით, ჩემო კარგებო, რაც დანამდვილებით ვიცი, ის ვთქვა, რათა საზოგადოება კიდევ ერთხელ არ მომიტრიალდეს და არ მითხრას: თავის დროზე რატომ არ თქვი, რაც იცოდიო?“

**„ქრონიკა“.**

**„ორ ზღვას შუა ძველისძველად
სამარი იყო ლელო,
ის გადარჩა და სახელად
ეწოდება საქართველო!“** — გალაკტიონი

ამ სტროფებში არის სრული ჭეშმარიტება და დიდმა პოეტმა, ისე, რომ მისხალი არ გადაუჭარბებია, ზუსტესი **„გეოსტრატეგიული დიაგნოზი“** დასვა! დიახ, ოდითგანვე ასე იყო, აწმყომდე, „გადარჩენის რეჟიმში“ იმყოფებოდა ქართველი ერი მთელი ამ საუკუნეების მანძილზე. ამავდროულად, „საქართველო და ქართველობა“ იყო და არის განუყოფელი ნაწილი მსოფლიო ცივილიზაციური პროცესებისა და აქედან გამომდინარე, ჩვენ ნამდვილად ვართ ერი, რომელსაც აქვს ძალიან დიდი ისტორია, მდიდარი სულიერი, კულტურული და მატერიალური მემკვიდრეობა! ჩვენი გადარჩენა იმის დამსახურებაა, რომ გავხდით ქრისტიანული ცივილიზაციის შემადგენელი ნაწილი, წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველო და ქართველობა, როგორც ქვეყანა და ერი ვერ გადარჩებოდა! ქართველთა ყველა თაობის ოცნება და საზრუნავი იყო საქართველოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა, ეროვნული იდენტურობის შენარჩუნება და განვითარება! ისტორიის ქარტეხილების სხვადასხვა ეტაპზე, **ჩვენი გმირი და ბრძენი წინაპრები გარდამავალი წარმატებით, მაგრამ მაინც ახერხებდნენ თავიანთ წინაშე წამოჭრილი ურთულესი გამოწვევების გადალახვას და ბევრჯერ, ყოფნა-არყოფნის პირას მდგომი საქართველოს გადარჩენას, ქართველობის და ქრისტიანული სარწმუნოების შენარჩუნებას, რაც ერთსა და იმავეს ნიშნავდა მათთვის! სწორედ ასეთმა თავდადებამ და ერთგულებამ შეაძლებინა მათ, რომ „ორ ზღვას შუა“ მდებარე საქართველომ არ შეწყვიტა არსებობა, მიუხედავად იმისა, რომ მისი არსებობის მანძილზე საქართველო მუდმივად წარმოადგენდა ინტერესის და აგრესიის ობიექტს სხვადასხვა წარმომავლობისა და აღმსარებლობის იმპერიების მხრიდან!** ჩვენი დიდი მეფეების (დავით აღმაშენებელი, თამარ) მმართველობის ხანა იყო მცირე გამონაკლისი, როდესაც საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტი, დამოუკიდებლობა და თავისუფლება შეულახავი და გარანტირებული იყო! დიახ, ქართველებს ხმალი არ ჩაუგიათ, ისინი განუწყვეტლივ იბრძოდნენ, თავისუფლების ან მოსაპოვებლად, ან შესანარჩუნებლად!

მაგრამ, ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ, თითქოს ჩვენთვის უცხო იყო დიპლომატია, შორსმჭვრეტელობა და სხვა პოლიტიკური ხერხები, მით უმეტეს, რომ ჩვენს წინაპრებს საქმე ჰქონდათ უძლიერეს და მრავალრიცხოვან მტრებთან და მოკავშირეების არყოლის გამო, როცა **„ძალა აღმართს ხნავდა“,** ხშირად უხდებოდათ კაბალურ პირობებზე დათანხმება, — ისევ და ისევ, საქართველოს გადასარჩენად!.

ასე მივიდა საქართველო და ქართველი ერი მე-18 საუკუნის მიწურულამდე: ტერიტორიები დაკარგული, დანაწევრებული, ისლამურ სამყაროსთან უწყვეტი ომებისაგან სისხლდაცლილი და გამოფიტული, ამის შედეგად კი, ოსმალეთისა და სპარსეთის მიერ ხარკდადებული, **„შუაზე გაყოფილი“** და მათი გავლენის სფეროებად გადანაწილებული.. არ არსებობდა ერთიანი ქართული სახელმწიფო, როგორც პოლიტიკური სუბიექტი, არადა იმდროინდელ მსოფლიოში მიმდინარე სამხედრო-პოლიტიკური, ეკონომიკური, სამეცნიერო თუ სხვა პროცესები, ჩვენ მიღმა ვითარდებოდა, რაც საქართველოს უქადდა სრულ ჩამორჩენილობასა და გაქრობას, თუ ქართველები არ მიიღებდნენ პოლიტიკურ, ზოგადეროვნულ გადაწყვეტილებას, რომელიც არსებულ სიტუაციაში გამოსავალი იქნებოდა!.. არჩევანი კი, დიდი არ იყო — ან ოსმალეთისა და სპარსეთის ისლამური იმპერიების ვასალად ყოფნა, რაც გარანტირებულ დაღუპვასა და გადაგვარებას მოასწავებდა (როგორც მე-19 საუკუნეში განვითარებულმა საერთაშორისო, სამხედრო-პოლიტიკურმა მოვლენებმა დაგვანახვა, ოსმალეთის იმპერია წარმოჩინდა რეგიონის ერთ-ერთ უძლიერეს სახელმწიფოდ და იმ შემთხვევაში, თუ რუსეთს უარს ეტყოდა ერეკლე მეფე და კრწანისის ომის შემდეგ, **„თავზე გადაახევდა“** მათ **„გეორგიევსკის ტრაქტატს“,** მაშინ, დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ თურქ-ოსმალების იმპერიაში აღმოვჩნდებოდით! ჰოდა, თბილისის და ქუთაისის გუბერნიების ნაცვლად, მათი ვილაიეთები იქნებოდა, აქედან გამომდინარე შედეგებით!), — ან კიდევ, რუსეთის ერთმორწმუნე იმპერიის პროტექტორატის ქვეშ ყოფნა!. საქმე ის არის, რომ საქართველოს მეფეები, რჩეული ერისკაცები თუ სასულიერო პირები, მუდმივად იყვნენ მოკავშირის ძიებაში ქრისტიანულ სამყაროში და ეს ბუნებრივიც იყო, ვინაიდან მუსლიმურ გარემოცვაში მყოფი ქვეყნისთვის და ერისთვის, სწორედ ეს გახლდათ გადარჩენის გზა. არაერთი დელეგაცია გაემგზავრა საქართველოდან ევროპელ მონარქებთან სხვადასხვა დროს, რათა მათთან დამყარებული კავშირურთიერთობებით დაეცვათ და განემტკიცებინათ საქართველოს დამოუკიდებლობა და ქრისტიანული სარწმუნოება! ასეთივე სახის მიმოსვლა და მიმოწერა ჰქონდათ ქართველებს რუსეთის მთავრებთან და მონარქებთან, იყო დაპირებები როგორც დასავლეთიდან, ისე ჩრდილოეთიდან... მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგებოდა, ბრძოლის ველზე მარტონი ვრჩებოდით, ურიცხვი მუსლიმების წინაალმდეგ!.. ქართლ-კახეთის მეფემ ერეკლე მეორემ მიიღო გადაწყვეტილება და „ერთმორწმუნე“ რუსეთის იმპერიასთან დადო ხელშეკრულება პროტექტორატის შესახებ, რომლის მიხედვითაც მაქსიმალურად იზღუდებოდა მისი სუვერენიტეტი, მაგრამ, უნდა შენარჩუნებულიყო ბაგრატოვანთა დინასტიის უფლებამოსილება სამეფო ტახტზე. ერეკლე მეფე კარგად აცნობიერებდა, რომ ეს იყო არჩევანი **„ცუდსა და უარესს“** შორის, მაგრამ სხვა გამოსავალი, **„უკეთესი“,** არ ჩანდა, იმიტომ, რომ არ არსებობდა!.. პატარა კახის სიკვდილის შემდეგ, მზაკვარმა და ვერაგმა „ერთმორწმუნე“ რუსეთის იმპერიამ დაარღვია ორმხრივი ხელშეკრულება და გააუქმა მეფობა, ჯერ აღმოსავლეთ საქართველოში, ხოლო შემდეგ დასავლეთ საქართველოში, ამას არ დასჯერდა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიაზეც აღმართა ხელი!.. სხვადასხვა დროს, **„ერთმორწმუნე“** რუსეთმა სისხლში ჩაახშო ქართველების აჯანყებები ქართულ პროვინციებში რუსული მმართველობის შემოღების წინააღმდეგ, რუსულ ყაიდაზე შელება ქართული ეკლესია-მონასტრები და გაიტანა რუსეთში უნიკალური ხატები და სხვა საეკლესიო საგანძური!.. მოკლედ, ქართველების ოცნებამ, რომელიც საუკუნეების მანძილზე მდგომარეობდა იმაში, რომ დაემყარებინათ სამოკავშირეო ურთიერთობა ქრისტიანულ სამყაროსთან (განსაკუთრებით, ბიზანტიის დაცემის შემდეგ), — **„ერთმორწმუნე“** რუსეთის იმპერიის ამ ქმედებების შედეგად, დიდი იმედგაცრუება განიცადა!. რასაც მოჰყვა 1832 წლის შეთქმულება, რომლის მიზანი საქართველოს რუსეთისგან განთავისუფლება იყო, ანუ ქართველებში არ ჩაკვდა მეოცნებე სული!. დიახ, ქართველთა მომდევნო თაობებშიც არ განელებულა ოცნება და ჟინი საქართველოს თავისუფლებისთვის ბრძოლისა!.. და მაინც, ბარათაშვილისეულმა — **„მშვიდობა ნახოს საქართველომა..“** დადებითი შედეგები გამოიღო და ამ **„ცუდი“** არჩევნის მეშვეობით, ქართველების განათლებული, ევროპულ ცოდნას ნაზიარები თაობები აღიზარდა! რად ღირს მარტო ილია ჭავჭავაძისა და „თერგდალეულების“ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩენა, რაც მომასწავებელი იყო იმისა, რომ საქართველო გადარჩებოდა იმ რუსიფიკატორული პოლიტიკისგანაც, რომელსაც რუსეთის იმპერია აწარმოებდა, მეტიც, სწორედ ილიას მეთაურობით ჩაეყარა საფუძველი დიდ ეროვნულ წამოწყებებს, რომლებიც დაეფუძნენ ქართულ ოცნებას, ანუ ლტოლვას საქართველოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისაკენ!..

მე-20 საუკუნის მეორე ათწლეულმა დიდი სიხარული და იმედი ჩაუსახა ქართველობას, ვინაიდან რუსეთის იმპერიის რღვევის შედეგად აღმოცენდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა!. ბედის ირონიაა, რომ 1918 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება წილად ერგო იმ პოლიტიკურ ძალას, რომელსაც არც კი უოცნებია ამის შესახებ, პირიქით, ისინი ებრძოდნენ ილია ჭავჭავაძეს და საქართველოს დამოუკიდებლობის იდეას! ალბათ, ამიტომაც და საგარეო პოლიტიკური ვითარების გამოც, საქართველოს დამოუკიდებლობა ხანმოკლე გამოდგა, სამ წელიწადს გაგრძელდა... ახლა უკვე ბოლშევიკურმა რუსეთმა რენეგატი ქართველების ძალისხმევით მოახდინეს საქართველოს ინტერვენცია და ანექსია, რასაც ქართული ტერიტორიების კიდევ ერთი ნაწილის დაკარგვა მოჰყვა! საქართველო ახლადშექმნილი იმპერიის ნაწილი გახდა, მას სსრკ დაერქვა. ეს გახლდათ კომუნისტური, კლასობრივი ბრძოლის პრინციპებზე დაფუძნებული, ათეისტური, ტოტალიტარული იმპერია, რომელმაც ბევრი სასიქადულო ქართველი მამულიშვილის სიცოცხლე შეიწირა... საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას კი, გამანადგურებელი რეპრესიები დაატყდა თავს!..

**მინავლებული ეროვნული ნაკვერჩხალი, ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას მიერ, 70-იან წლებში იქნა გაღვივებული და 80-იანი წლების მეორე ნახევარში იგი ქართველების გულებში აენთო! მთელი რიგი ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, სსრკ-ს რღვევის პროცესი დაწყებული იყო და იგი გარდაუვლად დაიშლებოდა. ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას კი, ერთიანი, ჩამოყალიბებული და შეჯერებული გეგმა, პროგრამა ან კონცეფცია, თუ როგორ უნდა განვითარებულიყო დამოუკიდებელი საქართველო, რა სტრატეგია უნდა აერჩია მას, არ გააჩნდა. მეტიც, თავი იჩინა ურთიერთშუღლმა და დაპირისპირებამ, რომელმაც შეუძლებელი გახადა ერთსულოვნების მიღწევა ლიდერთა შორის! ამის გამო, ვერ მოხერხდა იმ საფრთხეების თავიდან აცილება, რაც თან ახლავს ასეთი მასშტაბის იმპერიის ნგრევას.**

ეროვნული მოძრაობის ლიდერების მხრიდან, დაშლის რეჟიმში მყოფ იმპერიასთან თავიდანვე დაპირისპირების რადიკალური გზა იქნა არჩეული, რამაც 9 აპრილის დარბევა და მსხვერპლი გამოიწვია. ქართველებმა არ გაითვალისწინეს ის ურთულესი პრობლემა, რასაც ავტონომიური წარმონაქმნებში სეპარატისტების მხარდაჭერის სახით გვიქმნიდა სსრკ-ს ხელმძღვანელობა და მომავალში შეგვიქმნიდა რუსეთის მმართველები. ნათელი წერტილი გახდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა! დიახ, როდესაც ვამბობ — ქართველებს, — ვგულისხმობ ყველას, ვისი ოცნებაც საქართველოს დამოუკიდებლობა და თავისუფლება იყო! ასეთები კი

## ძალა აღმართსა ძალა ჩვენა

იყვნენ, როგორც ეროვნულ მოძრაობაში, ისე, მთლიანად ქართულ საზოგადოებაში, მათ შორის ადგილობრივ მმართველებში. ცხადი იყო, რომ იმპერია იშლებოდა და საჭირო იყო კონსოლიდაცია, რათა ყველა ერთად გავმკლავებოდით იმ საფრთხეებს, რაც ახლადშობილ ქართულ სახელმწიფოს შეექმნებოდა. მაგრამ, ნაცვლად ამისა, უფრო გაღრმავდა დაპირისპირება ქართველთა შორის, რამაც საბოლოოდ სახელმწიფო გადატრიალებამდე და სამოქალაქო ომამდე მიგვიყვანა!. საქმე ის არის, რომ რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობისას, ქართულ-რუსული დიალოგი და ურთიერთშეთანხმება არ შედგა! ჯერ კიდევ საკავშირო მთავრობამ, ცხინვალის რეგიონში ხელი შეუწყო ეთნოკონფლიქტის გაღვივებას. მოგვიანებით, პრეზიდენტ გამსახურდიას ჰქონდა მცდელობა რუსებთან ინტერესთა თანხვედრის მიღწევისა და იგი შეხვდა პრეზიდენტ ელცინს 1991 წლის მარტში (სსრკ, ჯერ ფორმალურად არსებობდა), ხელი მოეწერა შეთანხმებას ცხინვალის რეგიონთან დაკავშირებით, რომელიც რუსეთმა არ შეასრულა. ასევე, ღია გაფრთხილება მისცა სსრკ-ს პრეზიდენტმა გორბაჩოვმა პრეზიდენტ გამსახურდიას, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის და თავისუფლების მოპოვების გზაზე წინაღობა შეექმნებოდა, აფხაზეთის და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ სახით, რომლებიც საქართველოს შემადგენლობიდან გავიდოდნენ! დრამატულად წარიმართა მოვლენები აფხაზეთის მიმართულებითაც. 1991 წლის დეკემბერში, თბილისში დაწყებულმა სახელმწიფო გადატრიალებამ, რომელიც სამოქალაქო ომში გადაიზარდა, 1992 წლის 14 აგვისტოს საბედისწერო ნაბიჯი გადაადგმევინა იმდროინდელ სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს ედუარდ შევარდნაძეს, — ქართული სამხედრო ფორმირებები გადაადგილდნენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ასე დაიწყო ომი აფხაზეთში, რომელშიც, გამარჯვება რუსეთის ფედერაციის დახმარებით დარჩათ აფხაზ სეპარატისტებს... შევარდნაძემ, ამის შემდეგ გააკეთა განცხადება საქართველოს დსთ-ში გაწევრების შესახებ. ორივე რეგიონში, სამშვიდობო ხელშეკრულებების საფუძველზე, დსთ-ს მანდატით განლაგდნენ რუსეთის სამშვიდობო ძალები, აგრეთვე, გაეროს და ეუთოს დამკვირვებლები! რუსეთის ფედერაცია აღიარებდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და ორივე კონფლიქტის მოსაგვარებლად „შუამავლის როლის“ ასრულებდა! იმ წლებში, საერთაშორისო თანამეგობრობის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროპული სახელმწიფოების დამოკიდებულება სსრკ-ში მიმდინარე პროცესებისადმი ძალზედ ფრთხილი იყო. ე.წ. მოკავშირე რესპუბლიკებიდან დასავლეთის მხარდაჭერის იმედი დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად, მხოლოდ ბალტიისპირეთის ქვეყნებს შეეძლოთ ჰქონოდათ, ვინაიდან, საერთაშორისო სამართლის საფუძველზე, დასავლეთი მათ მიიჩნევდა სსრკ-ს მიერ ოკუპირებულ სახელმწიფოებად ჯერ კიდევ 40-იან წლებში. რაც შეეხება დანარჩენ რესპუბლიკებს, დასავლეთი მათ ცნობდა, როგორც სსრკ-ს შემადგენელ ტერიტორიად. სიმწრის ღიმილს იწვევდა ის, რომ ზოგიერთი ახლადგამოჩეკილი პოლიტიკოსი **„ასაბუთებდა“** შემდეგს: თურმე ნუ იტყვით და საქართველო უსწრებდა ბალტიის ქვეყნებს დამოუკიდებლობის მოპოვების გზაზე, ანუ ჩვენ უფრო მალე გავხდებით დამოუკიდებლები და ნატოს წევრებიო. როდესაც უხსნიდი, რომ ეს, ესე არ არის, იმ წუთას რაღაც იარლიყს მოგაკერებდნენ!..



არ დამავიწყდება ბალტიელთა დელეგაციის გაოცებული სახეები იმის გამო, რომ 1989-90 წლებში, თბილისში, თითქმის განუწყვეტლად ტარდებოდა მიტინგები და მანიფესტაციები. ისინი კითხულობდნენ, — კი მაგრამ, როდისღა მუშაობს ხალხიო, თუ სამუშაო დღეებში ქუჩაში არიანო? — რაზეც ქართველები პასუხობდნენ, — რა დროს მუშაობაა, ჯერ დამოუკიდებლობა უნდა მოვიპოვოთ, რუსეთის ბაზები გავიყვანოთ და ნატოში გავწევრდეთ, აი, შემდეგ მივხედავთ მეორეხარისხოვან საქმეებსო! — ბალტიელები, თავის ქვეყნებში შაბათ-კვირას ატარებდნენ საპროტესტო აქციებს, რათა ეკონომიკა კოლაფსში არ ჩავარდნილიყო, ისინი ამბობდნენ, რომ სსრკ იშლება და რუსებს მაინც მოუწევთ დატოვონ ჩვენი ქვეყანა და ეკონომიკის პარალიზებით, მხოლოდ ჩვენი სახელმწიფო დაზარალდებაო! რა ახლოს იყვნენ ბალტიელები, უკვე მაშინ, თავის **„ოცნებასთან“!..**

საქართველოში კი, სამოქალაქო ომი ჩაცხრა, თბილისში შევარდნაძე **„გამაგრდა“,** ხოლო, დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტი, დღემდე გაურკვეველ ვითარებაში დაიღუპა... შევარდნაძეს, რომელსაც უზარმაზარი პოლიტიკური გამოცდილება დაუგროვდა საერთაშორისო ურთიერთობებში უკანასკნელ წლებში, და რასაც ყველა, მომხრე თუ მოწინააღმდეგე აღიარებდა, მას ქართული საზოგადოებრიობა იმედის თვალით შეჰყურებდა. მთავარი მოლოდინი იყო ის, რომ შევარდნაძე რუსეთთან ურთიერთობაში რადიკალიზმზე უარს იტყოდა და მისთვის დამახასიათებელი ბალანსირებით დაარეგულირებდა სიტუაციას ყველა მეზობელთან და კონფლიქტურ რეგიონებთან დაკავშირებული პრობლემა თანდათან გადაწყდებოდა. მაგრამ, მომდევნო წლებმა აჩვენეს, რომ სსრკ-ს დემონტაჟის ერთ-ერთი მთავარი ავტორი, ვერ გამოდგა როგორც ახალი სახელმწიფოს შემოქმედი და მისი „ბალანსირების“ მამოძრავებელი მიზეზი აშშ-სა და რუსეთს შორის, ასევე, ქვეყნის შიგნით არსებულ პოლიტიკურ სპექტრთან, გახლდათ, მხოლოდ საკუთარი ძალაუფლების შენარჩუნების პრობლემა! იმ პერიოდში არავინ ფიქრობდა, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ქართული ოცნება.. შევარდნაძის მმართველობის მოძველებულმა მეთოდებმა ქვეყანა კორუფციის და სტაგნაციის ჭაობში მოისროლა, ხოლო მის ფრთებქვეშ გამოჩეკილმა ინგლისურად „მოჟღურტულე“ ახალგაზრდათა ჯგუფმა არ დაახანა და „გამზრდელი, — ვარდების თანხლებით“ პენსიაზე გაუშვა!.

**8 წელიწადია, რაც საქართველო „რევოლუციურ რიტმში“ ფუნქციონირებს, ხოლო რევოლუციის ერთპიროვნული ლიდერი და მისი ერთგული გარემოცვა, ქართველ ერს „უმტკიცებს“, ხანდახან ფიზიკური ანგარიშსწორებით (2007წ. 7 ნოემბერი), რომ მათზე კარგი ხელისუფლება ქართველებს არ ყოლიათ არასდროს და რომ, მხოლოდ მათ იციან საით უნდა წაიყვანონ ერი და რაში მდგომარეობს ქართული ოცნება.. მთელი უბედურება ის არის, რომ არც იციან და მეტიც, საკუთარი ქმედებებით ჩიხში, დიახ, გამოუვალ ჩიხში შეყავთ საქარ-**

# ხნავს...და ეს ვართ, ხალხი...



თველო! ის კი არადა, სააკაშვილმა თავისი უშუნური მოქმედებით, დაკარგული ტერიტორიების ჩამონათვალი გაზარდა 2008 წლის აგვისტოში! ქართველებმა ასეთი ხელისუფლება უნდა შეაჩეროს, თუკი გადარჩენა უნდა! 20 წელიწადია ქართველები, საქართველოს ნებისმიერი მოქალაქე, რომლებიც დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისთვის მზად იყვნენ თავი გაეწირათ, ან სულ ცოტა, – ყველანაირი გაჭირვება მოეთმინათ, – მოტყუებულნი აღმოჩნდნენ! პოლიტიკური ელიტა, რომელიც უნდა ჩამოყალიბებულიყო ამ 20 წლის მანძილზე და სათავეში ჩადგომოდა პოლიტიკურ პროცესებს, ვერ შეიქმნა, ან უსუსური აღმოჩნდა! დღეს, ისინი საკუთარი პარტიების „სახელოვანი“ ბიოგრაფიების „ჩასწორება-გადასწორებით“ არიან დაკავებულნი! შედეგად კი ერთპარტიული მმართველობა მივიღეთ, სამივე პრეზიდენტის დროს! საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარირების 20 წლის მანძილზე, ქართველი ადამიანი, მისი სიხარული თუ ტკივილი, ყოველდღიური თუ იმედგაცრუება, არც ერთ ხელისუფლებას გულთან არ მიუტანია და მილიონზე მეტი საქართველოს მოქალაქე ემიგრაციაში იყო, იმიტომ, რომ დამოუკიდებელ სამშობლოში, საკუთარი ოცნების განხორციელების არანაირი საშუალება არ ჰქონდა! მათი უმეტესობა, სხვა ერებისა და ქვეყნების ოცნებას შეუერთდა!.. ტერმინი **„ამერიკული ოცნება“**, ცნობილი გახდა 1931 წელს, როდესაც ისტორიკოსმა ჯეიმს ტრუსლოუ ადამსმა გამოსცა წიგნი სახელწოდებით **„ამერიკული ეპოსი“**, რომელშიც პირველად გამოიყენა ტერმინი – **„ამერიკული ოცნება“!** ამ სახელწოდების საფუძველი კი, ამერიკელთა წინა და თანამედროვე თაობების ცხოვრების წესი და მათი მისწრაფებები იყო. დღეს ეს ტერმინი თანდათან იმკვიდრებს ადგილს ევროპაშიც და სპეციალისტებს ცხარე პოლემიკა აქვთ იმის თაობაზე, თუ რა მსგავსებები და განსხვავებაა ამერიკულსა და ევროპულ ოცნებას შორის. იმის თქმა მინდა, რომ ცივილიზებულ სახელმწიფოებსა და ერებში გაჩნდა სურვილი, საკუთარი ოცნების მოთხოვნილებისა, ის ყოველთვის არსებობდა, მაგრამ მისი დეკლარირება არ ხდებოდა. აი, ქართველებმაც დავიწყეთ ქართულ ოცნებაზე ფიქრი, მას შემდეგ, რაც საზოგადოებრივ-პოლიტიკურ არენაზე გამოჩნდა ბიძინა ივანიშვილი, რომელმაც დააფუძნა საზოგადოებრივი მოძრაობა **„ქართული ოცნება“.** მან თქვა: **„ჩვენ არ ვაპირებთ ახალი ისტორიის დაწერას 2012 წლიდან“** და რომ „ქართული ოცნების“ მიზანია, ისეთი სახელმწიფოს აშენება, სადაც – **„წარმატების საწინდარი იქნება პატიოსნება, ღირსება და პროფესიონალიზმი“..** დიახ, თაობათა შორის კავშირს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ქართული ოცნების განსახორციელებლად. **ისტორიულად, ქართველი კაცისთვის პიროვნული და ეროვნული თავისუფლებისკენ სწრაფვა ერთმანეთზე გადაჯაჭვული ორი გრძნობა იყო, ორივე ერთ ნიადაგში ხარობდა და ტყუპისცალებივით ურთმანეთოდ არ შეეძლოთ არსებობა!** მე ვფიქრობ, აწმყოშიც და მომავალშიც ასე უნდა გაგრძელდეს, თუ გვინდა, რომ საქართველოს ნებისმიერი მოქალაქისთვის, ქართული ოცნება გახდეს დუღაბი საქართველოს სახელმწიფოებრიობისა და პიროვნული თვითრეალიზაციისა, რომელიც დაეფუძნება თავისუფლებისა და სამართლიანობის იდეალებს! დღეს, გლობალიზაციის პირობებში, საქართველოს სახელმწიფოსა და ქართველი ერის წინაშე დგას ურთულესი ამოცანები, რომლებიც გადაწყვეტას მოითხოვს. ეს ეხება თითქმის ყველა მიმართულებას, საგარეოს თუ საშინაოს. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა აგრარულ სექტორში, არადა, საქართველო სოფლიდან იწყება! როგორც დიდმა აკაკიმ ბრძანა, – სადაც, ქართველი გლეხი გუთნით ხნულს არ გაავლებს, იქ საქართველო აღარ არისო, – **„ნაციონალები“** კი, „ქალაქ ლაზიკაში ერეკებიან“ სოფლად აქა-იქ დარჩენილ ქართველებს?! ქართული სოფელი გაპარტახებულია, ხელისუფლება კი იჩემებს ბევრ რამეს, მაგრამ აღუდგენიათ კი ერთი სოფელი მაინც? ქართველები **„ბუნგალოების“** ერი არ ვართ, ჩვენ ხეობების ერი ვართ და ქართული ოცნებაც ჩვენს ულამაზეს მთა-ჭიუხებშია დავანებული. მათ უნდა მივხედოთ, ისეთი ინფრასტრუქტურა უნდა გვქონდეს აქ და ცხოვრებისა და საქმიანობის პირობები, რომ დღეს ამ მიტოვებულ ხეობებს ქართველები დაუბრუნდნენ! დემოგრაფიის მხრივაც მძიმე ვითარებაა, – ერი ბერდება. სამწუხაროდ, აზრს კარგავს რაფიელ ერისთავის სიტყვები – **„არ გავცვლი სალსა კლდეებსა, უკვდავებისა ხეზედა“.**

მიდის ხალხი საქართველოდან, ცარიელ სახლებსა და სოფლებს ვინც ეპატრონება, ხომ ვიცით?! 21-ე საუკუნე ერებისა და რელიგიების საუკუნეა. რაც მისაღებია, დასავლური ღირებულებები და დემოკრატიული ფასეულობები, რომლებიც შეესაბამება ჩვენს ეროვნულ მენტალობას, ის უნდა მივიღოთ და გავითავისოთ. არ უნდა დაგვავიწყდეს ილიას დანატოვარი – **„ენა, მამული, სარწმუნოება!“** ქართველები სადისაკეროო ერი არ ვართ, ჩვენს მიწაზე თუ არ გავიხარეთ, სხვაგან ძალიან გვიჭირს. თვალსაჩინო გაზვიადება და სხვა ქვეყანაში სასწავლებლად წასვლა კარგია, მაგრამ ცუდია, როდესაც სხვა ქვეყანაში წასვლისაკენ სამშობლოში არსებული გაუსაძლისი პირობები გვიბიძგებს. ქართულმა სახელმწიფომ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ ჩვენი ემიგრანტები დაბრუნდნენ და სამშობლოში აისრულონ ქართული ოცნება!

**დღეს, ქართული სახელმწიფოს მთავარი პრობლემა ქვეყნის დეოკუპაციის და გამთლიანების საკითხია, აგრეთვე, იმ 400 000 დევნილის დაბრუნება საკუთარ სახლებში, რომლებიც ეთნოწმენდის შედეგად გამოდევნილ იქნენ. ქართველთა უპირველესი ოცნებაც ეს არის! ჩვენ საკმარისად დავკარგეთ ქართული ტერიტორიები უკანასკნელი 200 წლის მანძილზე და აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი, მათ რიცხვს არ უნდა შეემატოს! ჩვენი ისტორიული გამოცდილება გვკარნახობს, რომ საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობის გათვალისწინებით უნდა ვაწარმოოთ, საგარეო მრავალვექტორიანი, გამჭვირვალე, ორმხრივ ნდობაზე დამყარებული პოლიტიკა, რომელიც სრულად გამოხატავს საქართველოს ეროვნულ ინტერესებს და მის ევროპულ ორიენტაციას, აგრეთვე, უზრუნველყოფს სახელმწიფო სუვერენიტეტის შეუვალობას და ქვეყნის უსაფრთხოებას!** „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერების მიერ, ამერიკისა და რუსეთის გეოსტრატეგიულ დაპირისპირებაზე **„გათვლილმა“** პოლიტიკამ გამოუსწორებელი შედეგები მოუტანა საქართველოს, 2008 წლის აგვისტოში! **სანამ, სააკაშვილი, ბოკერია და „ძმანი მათნი“ არიან ხელისუფლებაში, მანამდე, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა არ მოხდება! როდესაც „ნაციონალები“ საუბრობენ „თავისუფალი არჩევანის“ უფლებაზე (მაგ. ნატოს წევრობა), ავიწყდებათ, რომ საქართველოს 20% ოკუპირებულია რუსეთის მიერ, და იქ მცხოვრები აფხაზები და ოსები არ ავლენენ არანაირ სურვილს, რომ ერთიან საქართველოში იცხოვრონ ქართველებთან ერთად. ამ საკითხის მოგვარება შესაძლებელია მხოლოდ, – „კომპრომისული არჩევანის“ საშუალებით!** ვინაიდან, მხოლოდ რუსებს შეუძლიათ ზემოქმედება მოახდინონ აფხაზებზე და ოსებზე, რათა მათ თანხმობა განაცხადონ საქართველოს შემადგენლობაში შემოსვლაზე, – წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ საბოლოოდ დავკარგავთ აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის დაბრუნების შანსს! თუ, საქართველო ოდესმე გაწევრდა რომელიმე სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკში, ეს უნდა იყოს ნატო და არც ერთი სხვა, მაგრამ, თუ ნატოს წევრობა არ უზრუნველყოფს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, მაშინ, საქართველომ თავი უნდა შეიკავოს ასეთი ნაბიჯის გადადგმისაგან! ვერც პროამერიკული და ვერც პრორუსული ორიენტაცია ვერ შეძლებს უზრუნველყოს საქართველოს გამთლიანება და უსაფრთხოება. საქართველო არ უნდა ეცადოს „დააჯახოს“ ერთმანეთს ბირთვული ზესახელმწიფოები, აშშ და რუსეთი, ამით ჩვენს ქვეყანას ვერ გავამთლიანებთ, პირიქით, ქართველთა ინტერესი უნდა იყოს, რომ მოხდეს კონსენსუსი აშშ-სა და რუსეთს შორის, საქართველოს საკითხთან მიმართებაში!. არ შემიძლია არ ვთქვა, რომ ბალტიის სახელმწიფოებს ნატოში შესვლისას არ ჰქონდათ ავტონომიური წარმონაქმნი თავის ტერიტორიებზე, რომლებიც ორიენტირებულები იქნებოდნენ რუსეთზე! ეს რომ ასე ყოფილიყო, წარმოუდგენელი ბრძანდებოდით, რომ ბალტიელები ნატოს წევრობის ფასად საკუთარ ტერიტორიულ მთლიანობას არ დააყენებდნენ საფრთხის ქვეშ! სკანდინავიის ნახევარკუნძულზე მდებარე სახელმწიფოს (შვედეთი, ფინეთი) გამოცდილება რუსეთთან ურთიერთობაში, შეიძლება სამაგალითოდ გამოდგეს ჩვენთვის! შვედეთი და ფინეთი ევროკავშირის წევრი ქვეყნებია, მაგრამ არ შედიან ნატოში (სადაც, სიამოვნებით მიიღებენ, მიზეზი, – სამხედრო უსაფრთხოება და რუსეთის სიახლოვე)! ამ სახელმწიფოების პირველი პირები ხელმძღვანელობენ ეროვნული ინტერესებით (საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლებისგან განსხვავებით)! საქართველოს მიმართაც ხელისუფლებამ უნდა მოიწვიოს ასეთი ქვეყნების გამოცდილება (ავსტრია, შვეიცარია, ფინეთი, შვედეთი, ირლანდია) და ჩვენი დასავლელი მეგობრების დახმარებით, ვეძებ ჩვენი ევროკავშირისაკენ! საქართველოს აქვს ეს რესურსი: პოლიტიკურ-დიპლომატიური, რელიგიურ-ფილოსოფიური, კულტურულ-მენტალური, ისტორიულ-გეოგრაფიული და სხვა, რათა საერთაშორისო თანამეგობრობის თანადგომით და დიდი პოლიტიკური მოთამაშეების ერთსულოვნების შემთხვევაში, მიემატოს ზემოთ ჩამოთვლილი ევროპული ქვეყნების რიგს! ასეთი გეოპოლიტიკური სტრატეგია, საქართველოს სამხრეთ კავკასიაში მიანიჭებს ახალ სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ ფუნქციას, დინამიკური და ეფექტური ეკონომიკური განვითარების საშუალებას, რაც ნაწილობრივი ოკუპაციის პირობებში წარმოუდგენელია. ხოლო, სწრაფვა და მიზნის მიღწევა, თანამედროვე ეკონომიკური მოდელისაკენ გაცილებით დაჩქარებული ტემპებით იქნება შესაძლებელი, რომელიც საქართველოს სუბრეგიონში მშვიდობის გარანტად გადააქცევს. ეს კი ნიშნავს იმას, რომ ასრულდება ქართული ოცნება – და გამთლიანებული საქართველო, მოკლე ვადაში ევროკავშირის წევრი გახდება! **ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ქვეყნის გამთლიანება ძალუძს „ქართულ ოცნებას“, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის თანადგომითა და ლოცვა-კურთხევით!..**

**ბიძინა ივანიშვილი ჟურნალისტ ია ანთაძესთან ინტერვიუში ამბობს, რომ კონკრეტული გეგმა, თუ როგორ დაიბრუნოს დაკარგული ტერიტორიები, მას არ აქვს და ამ საკითხის გადასაწყვეტად სწორად მიანიშნებს იმის აუცილებლობაზე, რომ გლობალურ პოლიტიკაში უნდა მოხდეს დიდი მოთამაშეების (აშშ, ევროკავშირი, რუსეთი) პოზიციების თანხვედრა, რის შედეგადაც საქართველო იპოვის თავის როლს!. კითხვაზე – ხომ არ გულისხმობს ეს როლი საქართველოს მხრიდან ნეიტრალიტეტის გამოცხადებას? – უპასუხებს, რომ: „ნეიტრალიტეტს, მე მგონი, ჩვენ ვერ შევძლებთ. ასეთი სუსტი სახელმწიფოს პირობებში, სუსტი ეკონომიკით, არსებული ვითარებიდან გამომდინარე, რომ ვთქვა, ნეიტრალიტეტისთვის ვიბრძოლებ-მეთქი, – ამის იმედი ნუ გვექნება“...** აბსოლუტურად ვეთანხმები მას, რომ ქვეყნის ეკონომიკა სუსტია და სახელმწიფოც სუსტი გვაქვს, მაგრამ ეკონომიკა მოგვარებადი პრობლემაა, თუ ჩვენ გადავჭრით მთავარ საკითხს, ქვეყნის გამთლიანებას, რაც მოხსნის დაძაბულობას რუსეთთან და მოგვეცემა **„ამოსუნთქვის საშუალება“** და ეკონომიკური მაჩვენებლებიც აუცილებლად გაუმჯობესდება! აქედან გამომდინარე, – **„ნეიტრალიტეტისთვის კი არ უნდა ვიბრძოლოთ“,** ბატონო ბიძინა, არამედ – საქართველოს გამთლიანებისთვის! აბა ისე, რა საჭიროა ნეიტრალიტეტი, თუ მისი მეშვეობით აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი ვერ დავიბრუნეთ?! ამის მისაღწევად კი, ნეიტრალიტეტის, როგორც საშუალების და მეთოდის გამოყენება, ვფიქრობ, რომ არ უნდა გამოირიცხოს! მე მესმის, რომ ბიძინა ივანიშვილი ფრთხილობს (მართალიც არის!), ვინაიდან ნეიტრალიტეტი მოსკოვის შემოგდებული თემა იყო და მას პრორუსული ძალები ლობირებდნენ! სწორედ ამ **„ლობისტებს“** მივმართე ჩემს ერთ სტატიაში: **„ბატონებო, თქვენ კარგად იცით, რომ კრემლს დიდი ხანია შემუშავებული აქვს საქართველოს „ნეიტრალიტეტის რუსული სცენარი“, – ანუ, ნეიტრალიტეტის „რუსული ვერსია“, რომლის შესახებაც თქვენ „ბავშვური გულუბრყვილობით“ კითხულობთ – „რას ნიშნავს ეს რუსული ვარიანტი“?! საიდან მოიტანა ამ პოლიტოლოგმა“?! „რას ნიშნავს“ ჩემო „მიამიტო“ ბატონებო და მისი განხორციელება ნიშნავს შემდეგს: საქართველოს სახელმწიფოებრიობის და დამოუკიდებლობის იმიტაციას, ეროვნული თავისუფლების პროფანაციას, – სუვერენიტეტის დაკარგვას“!.. ამ თემაზე, ქვეყნის სასიკეთოდ არავინ დაფიქრებულა!.. ჩემი აზრით, საქართველოს დეოკუპაციის და გამთლიანების მაშველი ხაზი ნეიტრალიტეტზე გადის!** მაგრამ, საქართველოს ნეიტრალიტეტი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება ეფექტური და ყოველმხრივ დაცული, თუ ის დაეფუძნება საერთაშორისო სამართალს და მას ექნება საერთაშორისო გარანტიები – აშშ, რუსეთი, ევროკავშირი, გაერო **(რუსეთუმე ლობისტებისგან განსხვავებით, რომლებიც ამბობენ, რომ მხოლოდ რუსეთი უნდა იყოს ერთადერთი გარანტი)!**

კარგი მაგალითია ავსტრია, რომლის შემთხვევაში ნეიტრალიტეტის გამოცხადება განაპირობა შეთანხმებამ სსრკ-სა და მოკავშირეებს – აშშ-ს, დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთს შორის. მეორე მსოფლიო ომის ბოლოს, ავსტრიაში, კერძოდ ვენაში, პირველები საბჭოთა ჯარები შევიდნენ, მაგრამ ვინაიდან ავსტრიაში კომუნისტური პარტია ძალიან სუსტი იყო, მათ ვერ შეძლეს მარიონეტული სოციალისტური სახელმწიფოს შექმნა. სსრკ-ს მიერ ავსტრიის ოკუპაცია 1945 წლიდან 1955 წლამდე გაგრძელდა. რუსებმა ამერიკელებს წაუყენეს წინაპირობა, რომლის არსი ასეთი იყო, – რუსები ავსტრიიდან ჯარებს იმ შემთხვევაში გაიყვანდნენ, თუ პარალელურად, მოკავშირეებიც: აშშ, დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი, დატოვებდნენ მათ მიერ დაკავებულ სექტორებს! შეთანხმება შედგა, რის შედეგადაც, – ავსტრიამ გამოაცხადა ნეიტრალიტეტი, რომლის გარანტებიც 4-ვე მოკავშირე გახდა! სწორედ ამ შეთანხმების საფუძველზე, 1955 წელს მოხდა ავსტრიის მიერ მუდმივი ნეიტრალიტეტის აქტის მიღება (იგი ახლაც ძალაშია!), რომელიც ავსტრიის რესპუბლიკის ფედერალური კანონითაც (კონსტიტუციაც) განისაზღვრა. ავსტრია ევროკავშირის წევრია, მაგრამ არ არის ნატოში! სხვათა შორის, **იმდროინდელი ავსტრიის (1955წ.) პოლიტიკური ელიტის და საზოგადოების დიდი უმრავლესობა წინააღმდეგი იყო ნეიტრალიტეტისა და 1949 წელს ნატოს შექმნისას სურდათ ალიანსში შესვლა, მაგრამ მხოლოდ ნეიტრალიტეტის მიღება იძლეოდა ქვეყნის დეოკუპაციის და დემილიტარიზაციის საშუალებას და მათ ეს არჩევანი გააკეთეს! ცხოვრებამ გვაჩვენა, რომ ავსტრიელები არ შემცდარან და მათ აიხდინეს – ავსტრიული ოცნება!** ქართველებმაც ავსტრიელების სტრატეგია უნდა ავირჩიოთ, – უარი ვთქვათ ნატოში შესვლაზე, თუ ეს გადაწყვეტილება (შეთანხმება დასავლეთსა და რუსეთს შორის!) უზრუნველყოფს საქართველოს დეოკუპაციასა და გამთლიანებას, სახელმწიფო სუვერენიტეტის შეუვალობას, უსაფრთხოებას, დემოკრატიულ და ეკონომიკურ განვითარებას! ამგვარი, აპრობირებული ალტერნატიული სტრატეგიის შეთავაზებას **მსოფლიო პოლიტიკური ისტებლიშმენტისთვის – ბიძინა ივანიშვილის მხრიდან, დარწმუნებული ვარ უაღრესად დადებითი გამოხმაურება მოყვება, ვინაიდან და რადგანაც, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მოუგვარებლობის საკითხი ერთ-ერთ დამაბრკოლებელ პრობლემად იქცა დასავლეთისა და რუსეთის ურთიერთობებში!..**

ცხადია, რომ საქართველოს ახალ პოლიტიკურ ლიდერს სჭირდება ალტერნატიული, გამოკვეთილი სტრატეგია უპირველეს საკითხთან მიმართებაში, რასაც ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა ჰქვია!.. რომელიც, გამორიცხავს დასავლეთისა და რუსეთის დაპირისპირების მცდელობას და ორიენტირებული იქნება მშვიდობიანი, გამჭვირვალე და ურთიერთნდობაზე დაფუძნებულ პარტნიორულ თანამშრომლობაზე! ეს ახალი სტრატეგია „გასაგები“ უნდა იყოს ამომრჩევლების უმრავლესობისათვის, ანუ „მარტივი“ და უბრალო ენაზე ასახსნელი. გარდა ამისა, უმთავრესია, რომ დასავლეთმა, ცალკე აშშ-მ და ცალკე ევროპამ დაინახოს პრაგმატიზმი და რეალიზმი ამ სტრატეგიისა და მისი განხორციელებისა. აგრეთვე, უნდა გავითვალისწინოთ რუსეთის ჩართულობა.. ამგვარად, გარანტირებული იქნება მხარდაჭერა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ (დიდწილად, გადამწყვეტი!), რაც განაპირობებს არჩევნებში გამარჯვებას!..



**ჯუმბერ კირვალიძე,**
პოლიტოლოგი.

**P. S. ეს არის ჩემი ქართული ოცნება!.. – უფალო, დიდება შენდა! ღმერთო, გადაარჩინე და გაამთლიანე სრულიად საქართველო, ამინ!**
**ჯ. კ.**

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# რუსი ექსპერტების აზრით, აშშ ირანთან ომს ან საერთოდ, ან სულ მცირე, ერთი წელი არ დაიწყებს

როგორც „Утро" იუწყება, დსთ-ის ქვეყნების ინსტიტუტში სამეცნიერო-პრაქტიკული სემინარი „ირანის ირგვლივ შექმნილი მოვლენები და მათი გავლენა პოსტსაბჭოთა სივრცეზე" გაიმართა. მონაწილეთა უმრავლესობა მივიდა დასკვნამდე, რომ „აშშ ირანთან ომს, სულ მცირე, ერთი წელი მაინც არ გააჩაღებს, თუ საერთოდ დაიწყებს".

გეოპოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის პირველი ვიცე-პრეზიდენტის კონსტანტინ სივკოვის აზრით, „ამ მოსაზრების სასარგებლოდ ის ფაქტი მეტყველებს, რომ დღეს აშშ-ს საბრძოლო მოქმედებებისთვის შეიარაღების აუცილებელი რაოდენობა არ აქვს, რომ აღარაფერი ვთქვათ სახმელეთო დაჯგუფებებზე, რომლებშიც ოპერაციის წარმატებით დასრულებისთვის 3,5 ათასზე ნაკლები ტანკი და მილიონზე ნაკლები ადამიანი არ უნდა იყოს".

მისივე ინფორმაციით, „ამ მიმართულებით ამერიკელების განკარგულებაში მხოლოდ 150-200 საბრძოლო მანქანა და ამავე ოდენობის საჰაერო რაკეტაა, მაშინ, როდესაც ლიბიაში 300 მანქანა ჰყავდა, თუმცა დასახული მიზნის სრულად მიღწევა ვერ მოახერხდა".

ამასთან, სემინარის მონაწილეებმა ყურადღება იმ ფაქტზე გაამახვილეს, რომ „ირანის სიახლოვეს ამერიკული დაჯგუფება საერთოდ არ არსებობს, ხოლო რაც შეეხება თავად ირანში „მეხუთე კოლონის" არსებობას, არც ამის იმედი არსებობს, რადგან იქაურ ოპოზიციას ამერიკა ისევე ძლიერად არ უყვარს, როგორც თავად მოქმედი ხელისუფლება".

ამასთან, რუსი ექსპერტების აზრით, ამერიკელებს გეოგრაფიაც ხელს უშლით – ირანელებს მთიან ადგილებში მარტივად შეუძლიათ დამალვა და რაკეტსაწინააღმდეგო კომპლექსების წარმატებით გამოყენება.



„ერაყთან დაკავშირებით უფრო მარტივი სიტუაცია იყო – მას მხოლოდ ერთი ბირთვული ობიექტი აქვს და ისიც – ზედაპირზე. ირანში კი ბირთვული ობიექტები გაფანტულია და სიღრმეშია", – მიაჩნია რუსეთის უშიშროების საბჭოსთან არსებული სამეცნიერო საბჭოს ექსპერტს სტანისლავ ივანოვს.

გარდა ამისა, როგორც ლონისძიებაზე აღინიშნა, აშშ-სთვის სერიოზული შემაფერხებელი ფაქტორია ჩინეთი, რომელმაც უკვე ღიად განაცხადა, რომ ირანზე თავდასხმის შემთხვევაში საპასუხო ზომებს მიმართავს.

რუსი ექსპერტების აზრით, ამერიკელებისთვის სასარგებლო სიტუაცია არც კავკასიაშია – „ამერიკელებს იქ მხოლოდ ერთი მოკავშირე – საქართველო ჰყავთ, დანარჩენები კი – ძალზე პირობითი".

ექსპერტების აზრით, „კავკასიის რეგიონის სახელმწიფოებისთვის X-მომენტი დგება – მათ უნდა გადაწყვიტონ, იქნებიან თუ არა ამერიკასთან და ამ მხრივ ყველაზე რთულ სიტუაციაში შეიძლება, აზერბაიჯანი აღმოჩნდეს, რომელსაც ერთი მხრივ, ირანთან მყარი კულტურული და რელიგიური კავშირები აქვს, მეორე მხრივ კი აშშ-მა შესაძლოა, აზერბაიჯანს ლოიალურობის სანაცვლოდ მისთვის ყარაბაღის მიერთება შესთავაზოს".

მათივე აზრით, აშშ-სთან ურთიერთობების საკითხის გადაწყვეტა მოუწევს თურქმენეთსაც.

**მაკა ბრეგვაძე**

---

# მოსკოვმა ამერიკულ-ქართული ურთიერთობების გაღრმავება თეთრ სახლთან დაძაბულობისა და ანტიამერიკული განცხადებების პასუხად აღიქვა



**საქართველოს პრეზიდენტის აშშ-ში ვიზიტის შედეგებზე რუსული მხარის სავარაუდო რეაქციებსა და რუსეთში მიმდინარე პროცესების თავისებურებებზე „ინტერპრესნიუსი" ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, მსოფლიო ეკონომიკისა და საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტის წამყვან მეცნიერ-მუშაკსა და მოსკოვის კარნეგის ცენტრის ექსპერტს ალექსეი არბატოვს ესაუბრა.**

**– ბატონო ალექსეი, როგორ შეაფასებდით საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ვიზიტის შედეგებს ამერიკაში? პრეზიდენტმა ობამამ, გარდა იმისა, რომ საქართველოში განხორციელებული რეფორმები მოიწონა, აშშ-სა და საქართველოს შორის თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმზე გადასვლისა და ვაშინგტონის მიერ საქართველოს თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებაში მონაწილეობის შესახებ განაცხადა. აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ჰილარი კლინტონის შეფასებით, „საქართველო აშშ-სთვის მნიშვნელოვანი პარტნიორია"...**

– ჩემთვის რთულია იმაზე მსჯელობა, თუ რა იყო ამ ვიზიტისას რეალური საქმე და რა – დეკლარაცია. ვიზიტის შედეგების შეფასება საქართველოსა და ამერიკის ხელისუფლებების საქმეა. მე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ მოსკოვმა ამერიკულ-ქართული ურთიერთობების გაღრმავება თეთრ სახლსა და კრემლს შორის დაძაბულ ურთიერთობებსა და რუსეთში ანტიამერიკული განცხადებების პასუხად აღიქვა. უპირველესად ეს რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის განლაგების საკითხებში მხარეებს შორის უთანხმოებას ეხება, რასაც რუსეთის მხრიდან მუქარები და სხვადასხვა შეთანხმებიდან გამოსვლის განცხადებები მოჰყვა. როგორც ჩანს, თბილისთან დაახლოებით ვაშინგტონმა მოსკოვს იმის სიგნალი გაუგზავნა, რომ თუ მოსკოვმა ასე გააგრძელა, ამერიკას არანაკლები საშუალება აქვს, რუსეთს ცხოვრება გაურთულოს.

**– თქვენი აზრით, როგორი რეაქცია ექნება ქართულ-ამერიკულ დაახლოებაზე ვლადიმერ პუტინს? სხვათა შორის, პრეზიდენტმა სააკაშვილმა ვაშინგტონში განაცხადა, რომ თბილისი მზად არის მოსკოვთან ურთიერთობების მოსაწესრიგებლად, მაგრამ მოსკოვი ინტერესს არ ავლენს...**

– პუტინი ჯერ არ გახლავთ რუსეთის პრეზიდენტი. ამიტომ ჯერ არა აქვს საშუალება, განსაზღვროს რუსეთის საგარეო პოლიტიკა. ეს პრეზიდენტ მედვედევის საქმეა, მაგრამ იმის გამო, რომ არჩევნებამდე ცოტა დრო დარჩა, მედვედევი მეორე პლანზეა გადასული და არა მარტო საგარეო საკითხებში, არამედ საშინაო პოლიტიკის საკითხებშიც არ აქტიურობს. ის, რომ პუტინს შეუძლია, საქმეებით ყველა გააკვირვოს, არაერთხელ დაუდასტურებია. ამიტომ, არ გამოვრიცხავ, რომ გაპრეზიდენტების შემდეგ პუტინმა საქართველოსთან ურთიერთობაში კურსი მნიშვნელოვნად შეცვალოს და პრეზიდენტ სააკაშვილს ხელი გაუწოდოს; აღადგინოს ის ურთიერთობები, რომლებიც პრეზიდენტ მედვედევის მმართველობის დასაწყისში უკიდურესად გამწვავდა და მხარეები შეიარაღებულ დაპირისპირებამდე მიიყვანა. რა თქმა უნდა, პუტინი საქართველოს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს არ დაუბრუნებს. ეს ის საკითხებია, რომლებზეც მხარეებმა ცალკე უნდა იმსჯელონ. მაგრამ, მე არ გამოვრიცხავ, რომ გაპრეზიდენტების შემდეგ პუტინი ერთ-ერთ პირველ და მოულოდნელ ნაბიჯს სწორედ საქართველოს მიმართულებით გადადგამს. მას არაერთხელ დაუდასტურებია, რომ მოულოდნელი ნაბიჯების გადადგმა შეუძლია.

**– შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთი ოსეთის საქართველოსთვის დაბრუნება იყოს ორ ქვეყანას შორის არა ურთიერთობების დაწყების პირველი ნაბიჯი, არამედ მოსკოვსა და თბილისს შორის მოლაპარაკების შედეგი?**

– საქმე ისაა, რომ ცხოვრებაში ყველაფერი შესაძლებელია. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, მხარეები ამ საკითხზე მოლაპარაკებას რა ფორმით და დროის რა მონაკვეთში განიხილავენ. შეუძლებელი არაფერია. დიპლომატია და საგარეო პოლიტიკა იმისთვის არსებობს, რომ ამგვარი მოლაპარაკების დაწყება და პოზიციების დაახლოება უზრუნველყოს. ახლა ყველაფერს ის უშლის ხელს, რომ ორივე მხარე ერთმანეთის მიმართ კონფრონტაციულ კურსზე უარს არ ამბობს. მხარეებს პრინციპულად განსხვავებული დამოკიდებულება აქვთ ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა. მაგრამ, თუ მხარეები მომავლისთვის ამ სერიოზულ და სადავო დაკითხებში შეძლებენ განზოგადებული ფორმულირებებისა და კომპრომისული წინადადებების შემუშავებას, ყველაფერი შესაძლებელია. განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ნაციონალური უმცირესობების ინტერესები გათვალისწინებული იქნება და ეს სოხუმსა და ცხინვალს დააკმაყოფილებს, გამორიცხული არაფერია. დიახ, არ გამოვრიცხავ, რომ რუსეთის ახალი პრეზიდენტი რუსეთ-საქართველოს შორის პოლიტიკურ ურთიერთობებში გარკვეული გარღვევის მისაღწევად სერიოზულ ნაბიჯებზე წავიდეს.

**– თქვენი აზრით, რა ხდება რუსეთში და როგორ შეაფასებდით რუსეთში შექმნილ ვითარებას?**

– 90-იან წლებში გადატანილი ქარტეხილებისა და მთავრობათა ცვლის შემდეგ, რუსეთში 10 წლის წინათ ხელისუფლებასა და ხალხს შორის დაიდო არაფორმალური პაქტი. ხელისუფლება ხალხს უზრუნველყოფდა სტაბილურობით და მზარდი ცხოვრების დონით, ხოლო ხალხი არც ერთ დონეზე არ მონაწილეობდა ქვეყნის მართვაში. ხალხს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის განსაზღვრისთვის უფლებამოსილება დელეგირებული ჰქონდა ხელისუფლებისათვის. როგორც ჩანს, ამ პაქტმა თავისი თავი ამოწურა. საზოგადოების აქტიურმა ნაწილმა, განსაკუთრებით დიდ ქალაქებში, ადამიანებმა, რომლებსაც ცხოვრებისა და განათლების მაღალი დონე აქვთ, განაცხადეს, რომ სურთ ადგილობრივ და ფედერალურ დონეზე სახელმწიფოს მართვაში სამართლიანი არჩევნების საშუალებით მონაწილეობა. სწორედ ეს არის რუსეთში დღეისთვის არსებული ვითარების თავისებურება.

**– ოპოზიციამ თავისი მოთხოვნები 4 თებერვალს გამართულ მიტინგზე ჩამოაყალიბა, მაგრამ, როგორც ჩანს, ხელისუფლება მათ გათვალისწინებას მოახლოებულ პრეზიდენტის არჩევნებამდე არ აპირებს. მიტინგზე პრეზიდენტობის კანდიდატთაგან არც ერთი, მათ შორის არც პროხოროვი არ გამოსულა. არავის ეპარება ეჭვი, რომ პრეზიდენტის არჩევნებში პუტინი გაიმარჯვებს და, თქვენი აზრით, როგორ განვითარდება პროცესები კრემლში პუტინის დაბრუნების შემდეგ?**

– თუ მცირე ექსცესებს არ მივიღებთ მხედველობაში, მადლობა ღმერთს, რომ მასობრივმა აქციებმა უსისხლოდ და მშვიდად ჩაიარა. მიუხედავად იმისა, რომ აქცია სანქცირებული იყო, უფრო მეტი პროვოკაციებიც იყო მოსალოდნელი. მოსკოვისთვისაც ძალიან დიდ ყინვაში ბალოტნაიზე გამართულ აქციაში ძალიან ბევრმა ხალხმა მიიღო მონაწილეობა. 4 თებერვალს ბალოტნაიაზე იმაზე მეტი ხალხი მოვიდა, ვიდრე – წინა აქციაზე. ეს სწორედ იმ ხალხის დემონსტრაცია იყო, რომლებსაც სურთ მონაწილეობა მიიღონ ქვეყნის მართვაში, რუსეთის სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის განსაზღვრაში.

**– რამდენად დიდია იმის ალბათობა, რომ რუსეთში პრეზიდენტის ასარჩევად მეორე ტურის დანიშვნა გახდება აუცილებელი?**

– იავლინსკის რომ არჩევნებში მიეღო მონაწილეობა, მეორე ტურის დანიშვნის ალბათობა ძალიან მაღალი იქნებოდა. იავლინსკის არჩევნებში დაუშვებლობით გაიზარდა პირველივე ტურში პუტინის გამარჯვების შანსი. ცხადია, რომ არჩევნებში ამის გამო გაცილებით ნაკლები ხალხი მივა, რაც მეორე ტურის აუცილებლობას გამორიცხავს. ახლა ბევრი რამ იმაზე იქნება დამოკიდებული, რამდენ ხმას მიიღებს პროხოროვი. თუ ლიბერალურ-დემოკრატიულმა ძალებმა არ ჩათვალეს, რომ პროხოროვი პუტინის პროექტია და მას ხმები მისცეს, მაშინ საინტერესო სურათს იმის გამო მივიღებთ, რომ დანარჩენი სამი კანდიდატის მიღებულ ხმათა ოდენობა პროგნოზირებადია.

**– თქვენ იმედოვნებთ, რომ ცესკოს თავმჯდომარე ჩუროვი სამართლიან არჩევნებს მოაწყობს? ეს ხომ პრაქტიკულად არარეალურია..**

– რატომაა არარეალური, თქვენ რა, მართლა გგონიათ, რომ რუსეთის არჩევნების ბედს ჩუროვი წყვეტს? იგი მხოლოდ გაყალბებული არჩევნების სიმბოლოა. პრეზიდენტის არჩევნებზე ჩუროვი ისე იმოქმედებს, როგორადაც ეტყვიან.

მაგრამ, ისიც ფაქტია, რომ კრემლში დაბრუნების შემთხვევაში პუტინს არ ექნება ისეთი კარტ-ბლანში, როგორიც მას მისი მმართველობის პირველი 8 წლის განმავლობაში ჰქონდა. ამაში ეჭვი აბსოლუტურად არავის არ ეპარება.

**კობა ბენდელიანი**

---

## დედამიწის ზურგზე




**სექსი, ნარკოტიკი და პრეზიდენტი: ჯონ კენედის საყვარელმა, რომელიც დაპირებული იყო, რომ ხმას არ ამოიღებდა, დაწერა წიგნი**

ამ ჩანაწერების თანახმად, ელფორდის გაცნობა კენედისთან მოხდა აუზში, მათი პირველი სექსუალური კონტაქტი კი – ამერიკის პრეზიდენტის მეუღლის საწოლში. კენედი მაშინ 45 წლის იყო, ელფორდი კი სულ 19-ისა. კენედიმ, ქალის სიტყვებით, არა მხოლოდ წაართვა ახალგაზრდა პრაქტიკანტს ქალწულობა, არამედ აიძულა კიდეც იგი მიეღო ნარკოტიკები, აგრეთვე ჰქონოდა სექსი სხვა პოლიტიკოსებთანაც.

* * *

**მაკკეინი კვლავ დაემუქრა პუტინს, გაუგზავნა დამოწმება იმის შესახებ, თუ რა ხდება ყინვიან მოსკოვში**

„ძვირფასო ვლად! არაბული გაზაფხული უკვე მოადგა შენს მიდამოებს, – დაწერა სენატორმა, რომელიც მუდმივად აკრიტიკებს რუსეთის ფედერაციის პრემიერ-მინისტრს. მაკკეინის წინანდელი განცხადებანი რუსეთში არსებული სიტუაციის შესახებ იწვევს დაუსწრებელი დავების პროვოცირებას მასსა და პუტინს შორის.



* * *

**დომინიკანის სანაპიროზე ჩაიძირა გემი არალეგალი მიგრანტებით: დაიღუპა 16 კაცი, 11 გადაარჩინეს**

მაშველთა მონაცემებით, ძლიერ გადატვირთული ხის ნავის ბორტზე დაახლოებით 60 კაცი იყო, რომლებიც ცდილობდნენ დომინიკანიდან არალეგალურად გადასულიყვნენ პუერტო-რიკოში. სამძებრო ოპერაცია გრძელდება, წყალში შეიძლება ისევ იყოს სულ ცოტა 40 კაცი.

**ფინეთის პრეზიდენტი გახდა კონსერვატორი საული ვიაინიამე ნიინისტე**

მას განზრახული აქვს განავითაროს ურთიერთობა რუსეთთან „მაქსიმალურად კონკრეტულ დონეზე" და „ორივე ქვეყნის ხალხების ინტერესებით". „რუსეთი – ჩვენი მნიშვნელოვანი მეზობელია", – ხაზგასმით აღნიშნავს ნიინისტე. მისი აზრით, „რუსეთ-ფინეთის ურთიერთობა ამჟამად შესანიშნავ მდგომარეობაშია".



№24. სამშაბათი, 7 თებერვალი, 2012 წელი.

## გაპარტახებული, უპატრონო კურორტები

# წყალტუბოს სანატორიუმებს პარლამენტარებისთვის აახლებენ?!



**ხელისუფლება გამუდმებით ტურიზმის აღორძინებაზე საუბრობს, თუმცა, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, თავად უქმნის პრობლემებს ტურისტებს, როცა ადგილზე ჩასულ ვიზიტორებს სანატორიუმები და ეკლესიები დაკეტილი ხვდებათ. Presage.tv-სთან საუბარში ტურიზმის სფეროში ჩართული გიდები და ექსპერტები გულისტკივილს გამოთქვამენ, რომ მათთვის ძალიან უხერხულია, როცა დასვენების მიზნით ჩამოსულ ტურისტებს საქართველოში ხელოვნური ბარიერები ექმნებათ.** არავისთვის უცხო არაა, რომ ხელისუფლებამ ცალკეულ ინვესტორებს ჩალის ფასად დაუთმო ძველი სანატორიუმები, ამიტომ ამ ტერიტორიაზე უცხოელი სტუმრების შეყვანა მათ ზოგჯერ კონფლიქტის ფასად უჯდებათ, ზოგჯერ კი სანატორიუმებსა და ეკლესიებში ვერც შედიან, რადგან გასაღებები კონკრეტულ მეპატრონეებს აქვთ ჩაბარებული.

განსხვავებული ვითარებაა წყალტუბოში. ამ სანატორიუმში გარკვეული ძვრებია, რასაც კავკასიაში ტურიზმის განვითარების საერთაშორისო ცენტრის დირექტორი მარინე მეტრეველი პარლამენტარების ქუთაისში ჩასახლებას უკავშირებს.

**„წყალტუბოს სანატორიუმებს ახლა აახლებენ იმის გამო, რომ იქ პარლამენტი გადადის. პარლამენტარებისთვის ბინებს ამზადებენ. მე ეს ინფორმაცია მაქვს, რადგან პრეზიდენტმა თავად თქვა, სანატორიუმ „შახტიორიდან" გამოასახლეთ დევნილები და იქ იცხოვრებენ პარლამენტარებიო. მაგათ ახლა დიდი მოთხოვნილებები აქვთ, ამდენად, ქუთაისში პარლამენტარებს ბინებს არავინ აუშენებს. ამიტომ წყალტუბოში გამზადებული, ძვირფასი, სტალინისდროინდელი შენობა არის და იქ გაკეთდება ეს ყველაფერი. წყალტუბო უნდა აღორძინდეს, წყალტუბომ უნდა შეიძინოს თავისი პირვანდელი სახე, მოგეხსენებათ, წყალტუბო მთელ საბჭოთა კავშირს მკურნალობდა",** — უცხადებს მარინე მეტრეველი Presage.tv-ს.

სამაგიეროდ, მარინე მეტრეველი წუხს, რომ საქართველოში მთას პატრონი არ ჰყავს, მაშინ, როცა საქართველო მთიანი ქვეყანაა.

**„ბარს ისედაც ბევრი პატრონი ჰყავს. სწორედ მთიან ადგილებში უნდა მოხდეს ტურიზმის განვითარების ინტენსიური ექსპანსია. განსაკუთრებით, იმ ტურიზმის, რასაც ჰქვია ეკოტურიზმი, აგროტურიზმი, სასოფლო ტურიზმი, ჯანმრთელობის ტურიზმი, სადაც მთის მოსახლეობა ჩაერთობა, რომელიც ახლა დაუსაქმებელია",** — აცხადებს მარინე მეტრეველი, რომელიც დაინტერესებულია მაღალმთიან რაიონებში სასოფლო ტურიზმის განვითარებით, რისთვისაც საქმიანობა მშობლიური რაჭიდან დაიწყო.

**„ახლა ყველაზე დიდი გულისტკივილი გვაქვს, რადგან უწერის კურორტი გაჩერებულია. ამის შესახებ პრეზიდენტიდან დაწყებული, ყველას გავუგზავნეთ წერილი. ვწერთ, რომ ეს კურორტი გაყიდულია, კერძო საკუთრებაა, მაგრამ ექვსი წელია, უწერაში არაფერი გაკეთებულა. უწერის მოსანახულებლად სასოფლო ტურიზმის მიმდევარი უცხოელი როცა ჩადის, რა თქმა უნდა, მას აინტერესებს ეს ადგილი, რადგან გაუგონია, რომ უწერა არის ბალნეოლოგიური კურორტი. თუმცა ვერ სარგებლობს იმ სერვისით, რაც შეიძლება ამ კურორტმა მისცეს",** — აცხადებს მეტრეველი.

მისი თქმით, ასეთი მდგომარეობა მარტო რაჭაში არ არის, არამედ — სხვა ბალნეოლოგიურ კურორტებზეც: **„ჩემი კოლეგა ვანიდან არის და მასაც პრობლემები აქვს. ვანის სულორის კურორტშიც ასეა, ალბათ, იგივე მდგომარეობაა სამეგრელოშიც — მენჯის კურორტზე. ლაპარაკია იმ ძირითად წყლებზე, რომლებიც ადამიანებს ბევრი დაავადებისგან განკურნავს".**

მას შემდეგ, რაც პრეზიდენტის ადმინისტრაციის შემდეგ მარინე მეტრეველმა ტურიზმის დეპარტამენტსაც გაუგზავნა წერილი, ის ტურიზმის დეპარტამენტში გამოიძახეს. იგი, როგორც სასოფლო ტურიზმის ექსპერტი, დეპარტამენტის წარმომადგენელს უწერის ტურიზმის აღორძინების თაობაზე ესაუბრა. თუმცა გამაოგნებელი პასუხი მიიღო რომ, მართალია, ტურიზმის განვითარების კონცეფციაში კურორტები ნახსენებია, მაგრამ ჩვენ არ გვეხება კურორტებიო.

ასეთი წინააღმდეგობების შემდეგ მარინე მეტრეველმა დაასკვნა, რომ საქართველოში კონკრეტულად კურორტების პრობლემებით არც ერთი სამინისტრო არ არის დაკავებული, ხოლო ეკონომიკის სამინისტრო მარტო პრივატიზაციითაა დაინტერესებული.

**„ეკონომიკის სამინისტროსაც გავუგზავნე წერილი, მიხედეთ, ხალხი დაუსაქმებელია, უცხოელები ვერ ისვენებენ, კურორტი გაშეშებულია, ბიუჯეტში ფული არ შემოგდით და რატომ არ გინდათ, ეს კურორტები ან დაიბრუნოთ უკან, ან რაიმე მოუხერხოთ?! სასაცილო ფულადაა გაყიდული უწერის კურორტი. ზუსტად კრილოვის „ლებედ, რაკ და შჩუკასავითაა". მეორე იგავ-არაკიცაა — „ძაღლი თივაზე", ძაღლი არ ჭამს თივას, მაგრამ არც ძროხას აჭმევს. შოვიც მიტოვებულია, გეგონებათ, ქარიშხალმა გადაუარა. ტურისტული ბაზა დანგრეული და გაძარცვულია.**

**თვითონ შოვის ტერიტორიაზე ერთადერთი ტურისტული პანსიონატი მოქმედებს, სახელწოდებით „მამისონი". უცხოელები მყავდა აყვანილი, ბოქლომები ადევს იქაურობას. იმისთვის, რომ საკურორტო ტერიტორიაზე შევსულიყავით, ონიდან პოლიციამ დაურეკა მეპატრონეს და გააღეს ჭიშკარი. იქ კიდევ მეათე საუკუნის ძეგლია — ღვთისმშობლის ეკლესია, რომელიც უწერლებმა აღორძინეს, გააკეთეს ყველაფერი, მაგრამ მრევლი თავისუფლად ვერ შედის. როცა დღესასწაულებია, მხოლოდ მაშინ შედიან და მღვდელს შეჰყვებიან. ეკლესია ხომ, თავისთავად, დაკეტილია, მაგრამ ჭიშკარიც დაკეტილია",** — აცხადებს ექსპერტი.

მისი თქმით, სანატორიუმის ახლანდელი მეპატრონეები ქართველები არიან, ზოგიერთი ძველ მთავრობაში იყო, ზოგიც — ბანკში მუშაობდა, მაგრამ თვითონ არ ჩანან და ნათესავებზე აფორმებენ ქონებას.

**„იქ არის ერთი ოჯახი, რომელიც უწერის სანატორიუმის მცირე პროცენტს ფლობს, მას დაავალეს, მიხედე აქაურობასო. რა თქმა უნდა „მიხედა" - ძროხები, ღორები დადიან იმ ტერიტორიაზე. რომ ვუთხარი, რატომ დაკეტეთ-მეთქი, რამდენი კაცი დათვრება შუაღამეზე და შებოდიალდება ეკლესიაში, წაგვიბილწოს აქაურობაო? მოკლედ, ყველა შეკითხვაზე პასუხი გამზადებული აქვთ.**

**ჩვენ მაინც შევიყვანეთ უცხოელი ტურისტები, ისინი ასეთი ძვირფასი ადგილებით გაოგნებულნი იყვნენ. ტერიტორიაზე მარტო ათასწლიანი ექვსი ჭადარია, სტალინის სახლი იყო იქ, ახლა გაპარტახებულია, მარტო საძირკველია დარჩენილი. იქ იყო დედათა და ბავშვთა პანსიონატი „ფაზისი", ყველაფერი გაჩერებულია. გუბერნატორს უნდა, სანატორიუმი აღორძინდეს, მეხვეწება - იქნებ, ინვესტორი მოძებნოო. მე რატომ უნდა მოვძებნო ინვესტორი?! სოფელში ტურისტს რაში სჭირდება დიდი ფეშენებლური სასტუმრო?! ონში ააშენეს სასტუმრო... ვინ შედის შიგნით? ონი არის ჩავარდნილი დაბა, ონში საქმეზე თუ ჩავა და იმ სასტუმროში სამოწყალოდ თუ შევა ვინმე, თორემ, იქვე „გესტჰაუზებია" ისე კოხტად მოწყობილი. მოკლედ, მარკეტინგი არ ვარგა ტურიზმის დარგში",** — მიიჩნევს მარინე მეტრეველი.

რაც შეეხება წერილს, რომელიც მარინე მეტრეველმა მიმდინარე წლის 6 იანვარს პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრის, პარლამენტის თავმჯდომარის, რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის გუბერნიის ხელმძღვანელებისა და თითქმის ყველა სამინისტროს თუ არასამთავრობო ორგანიზაციის სახელზე დაწერა, დღემდე გამოხმაურება არ მოჰყოლია. არადა, სასოფლო ტურიზმის ექსპერტი წერილში ითხოვდა, რომ კურორტი უწერა ხალხს დაბრუნებოდა.

წერილში ვკითხულობთ: **„კურორტი „უწერა" დაკეტილია მესაკუთრეების მიერ, რომლებმაც 2006 წელს უპირობოდ შეისყიდეს ობიექტი და გაყინეს მისი რეაბილიტაციის საკითხი, რითაც სამუშაოს გარეშე დატოვეს თემის მოსახლეობა, ხოლო ათასობით ადამიანს დაუკარგეს მათთვის ესოდენ აუცილებელი მკურნალობისა და დასვენების საშუალება. კურორტის უძრაობა დიდ ზარალს აყენებს სახელმწიფოს, რადგან ქვეყნის ბიუჯეტში თანხები არ შედის. ცალკე განსჯის საგანია, მეპატრონეების წინააღმდეგობის გამო, კურორტის ტერიტორიისაგან არგამიჯნული ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის კუთვნილი X საუკუნის ღვთისმშობლის ტაძარში ეზოდან შესასვლელი, რომელიც, პრაქტიკულად, დახურულია მრევლისთვის... საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების პირობებში, როდესაც ქვეყანა აღმშენებლობის გზას ადგას, არ უნდა არსებობდეს დახურული ზონები".**

მარიამ ლოლაშვილი

## რჩეულიშვილ-კერვალიშვილების „ბიზნესი"

# მენაშენეების ფულით აშენებული სასტუმროები...

(მეოთხე გვერდიდან)

**„თუ ოდნავ წარმატებული ბიზნესი გაქვს, ხელისუფლება ეგრევე გავალებთ დამატებით საქმიანობას. აბა, საიდან კეთდება ეს განახლებული ქალაქები?! — ჩვენგან ამოღებული ფულით. ვეღარ გაუძლო ამ კომპანიამ წნეხს. ზოგს შეტანილი აქვს ასი ათასი, ზოგსაც — ორასი ათასი დოლარი; ძირითადად ეს ის ხალხია, ვინც უცხოეთში ცხოვრობდა და ცხოვრობს, აქ გაჭირვებას გაექცა, იქ შოულობდა ფულს და აგზავნიდა. ახლა კი იწერებიან, სამუდამო ლტოლვილებად ვიქეცით, ჩამოსასვლელი არ გვაქვსო. ზოგიერთი, ნაქირავები ბინიდან გაასვენეს, არ ეღირსათ საკუთარი ბინა; ბევრმა თავისი ბინა გაყიდა, ეგონა, ამით გაიუმჯობესებდა საცხოვრებელ პირობებს. ეს ერის ტრაგედიაა. იგივე ლტოლვილები ვართ. ეს თემა ტაბუდადებულია სახელისუფლო კულუარებში, არავინ გვეხმაურება, რატომ არ უნდა შემხვდეს ნაცმოძრაობის რომელიმე დეპუტატი? სარკაზმის შემცველელია, რომ სააკაშვილი რეგიონებში მოსახლეობას ხვდება, აინტერესებს მათი ყოფითი პრობლემები; ჩვენც ვთავაზობთ, შეგვხვდეს, ჩვენ ხომ არ ვიძახით — „გადადექი, მიშა"; ჩვენ გვაინტერესებს, რომ იმ ქვეყნაში, სადაც თურმე არ არის კორუფცია, ასეთი მასშტაბური აფიორა როგორ განხორციელდა?!"** — კითხულობს დაზარალებული მენაშენე.

მისი სიტყვით, „ცენტრ-პოინტს" მათთან დადებული ხელშეკრულებების შესრულება არ შეეძლო, ამიტომაც მონახეს გამოსავალი და „დექსუსის" სახით სხვა ფირმა მიიყვანეს. მენაშენეები კი დააყენეს ფაქტის წინაშე, რომ „ცენტრ-პოინტი" აღარ არსებობს, გაკოტრდა, გამოსავალი კი ასეთია, დაამატეთ ფული, გადაიხადეთ დღგ-ს საფასური და სახლს აგიშენებთო.

**„ვისთანაც მოახერხეს შანტაჟით საუბარი, შეატანინეს ფული, მაგრამ საქმე მაინც არ იძვრის. ამ ხელშეკრულებას, რასაც „დექსუსი" დღეს გვთავაზობს, „ცენტრ-პოინტი" და მაია რჩეულიშვილი ვერ შემოგვთავაზებდა, ვერ გვეტყოდა, ფული დაამატეთო. ამიტომ „დექსუსის" საშუალებით გველაპარაკებიან. თქვენ იცით, რა სასამართლოც გვაქვს, მაგრამ ამ სასამართლომ კიდეც რომ მიიღოს ჩვენი სასიკეთო გადაწყვეტილება, აღსრულება ვერ მოხდება, რადგან აქაც თვალთმაქცური გარიგებაა, „ცენტრ-პოინტი" არსად ფიგურირებს; ფიგურირებს მხოლოდ ევრაზიის განვითარების ფონდი, რომლის უკანაც დგას „ცენტრ-პოინტი". ამიტომ აღსრულება რომც დადგეს, ევრაზიის განვითარების ფონდს უნდა ჰქონდეს ქონება. ამ შემთხვევაში, ქონება მას არ აქვს",** — აღნიშნავს ალეკო დოლიძე.

ამასთან, დაზარალებულ მენაშენეს აინტერესებს, ნუთუ ეს არის განახლებული, აყვავებული ქალაქი? „საშინელებაა, ნანგრევებია, გეგონებათ, საომარი მოქმედება მიმდინარეობს. უნდა მორჩეს სპექტაკლების დადგმა შენობებთან. ეს არის უსახური, მიტოვებული შენობები. ტურიზმზე რომ ლაპარაკობენ, ის ტურისტი მარტო აღმაშენებელზე ისეირნებს? არ შეიძლება, ერთი უბნის მაგალითზე ქვეყანა ააშენო".

ადვოკატი და „ცენტრ-პოინტისგან" დაზარალებული მარინა კორძაძე ელიტარულ კორუფციაზე ამახვილებს ყურადღებას.

**„ელიტარულ კორუფციას ჩვენს ხელთ არსებული მრავალი მტკიცებულება ადასტურებს. დღეს მენაშენეებს სრულად აქვთ შეტანილი თანხა, მაგრამ საჯარო რეესტრში საკუთრებას არ ურეგისტრირებენ და დამატებით სთხოვენ ისეთ თანხებს, რომლებიც არ ეკუთვნით: ესაა დამატებითი ღირებულების გადასახადი. ისეთი სურათი იქმნება ქვეყანაში, თითქოს გვიშენებენ სახლს, რაღაც კონდიციამდე მიუყვანიათ მშენებლობა, მაგრამ თურმე ჩვენ გადასახადის გადახდა არ გვინდა. ასეთ სურათს ხატავს „დექსუსი". ამით პატიოსნების სახელი ენიჭება „დექსუსს" და „ცენტრ-პოინტს". არადა, ეს არის თაღლითური სქემა. საგადასახადო კოდექსით, რაც ოფიციალურადაც მივიღეთ, დამატებითი ღირებულების გადასახადი არ გვეკუთვნის. ისინი კი უკან მაინც არ იხევენ, ამიტომ მათი მხრიდან მომავალი საკუთრების რეალიზაცია გვემუქრება",** — აცხადებს მარინა კორძაძე.

ადვოკატის თქმით, აღნიშნულ საქმეზე გამოძიება სისხლის სამართლის მიმართულებით უნდა დაიწყოს. ამასთან, მსვლელობა უნდა მიეცეს, თუ სად წავიდა მენაშენეების 99 %-ის მიერ შეტანილი თანხები?

**„სად წავიდა „პროპერთი ინვესტის" დამფუძნებელის ვახტანგ რჩეულიშვილის მიერ ორ მილიონ-ნახევარი თანხა? ეს ფინანსური დანაშაულია. ჩვენ საჩივარი გამზადებული გვაქვს, ორი ამდენი ტომი გვაქვს მომზადებული და შევიტანთ საქართველოს მთავარ პროკურატურაში, იუსტიციის სამინისტროში, შსს-ში, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში",** — გვითხრა მარინა კორძაძემ.

**Presage.tv**

ჭადრაკი

# ზღვაური მოსკოვში



**მოსკოვში დამთავრდა მოჭადრაკეთა საერთაშორისო ფესტივალი, რომლის პროგრამითაც სტუდენტი დიდოსტატები წრიული სისტემით ეცილებოდნენ ერთმანეთს პირველობას.** შესანიშნავად იასპარეზა ბათუმელმა ნინო ბაციაშვილმა, რომელმაც 9 შესაძლებლიდან 7 ქულით მთავარი პრიზი მოიპოვა. გამარჯვებულს ნახევარი ქულით ჩამორჩა ბელარუსი ნასტასია ზიაზიულკინა, რომელსაც მეორე ადგილი ხვდა. 6 ქულით მესამე იყო პოლონელი კარინა ჰოროვსკა. ვაჟებში, ასევე, შვიდი ქულით პირველი ადგილი დაიკავა უკრაინელმა იაროსლავ ჟერებუხმა, რომელსაც გალელი დიდოსტატი ბაადურ ჯობავა ავარჯიშებს. მეორე-მესამე ადგილები რუსმა მაქსიმ მატლაკოვმა და ამერიკელმა რეი რობსონმა გაინაწილეს.

ჩოგბურთი

# სოფიოს ჰეთ-თრიკი



**ქართველმა ჩოგბურთელმა სოფიო ქვაცაბაიამ წლეულს თურქეთში ორი საერთაშორისო ტურნირი (თითოეულის საპრიზო ფონდი 10 000 დოლარი) მოიგო.** შემდეგ ესპანეთში გადაინაცვლა და მალიორკის, ასევე, 10-ათასიან შეჯიბრებაში ჩაება. ჩვენებურმა ზედიზედ ხუთ მეტოქეს სძლია — ესპანელ კაროლინა პრატსომილანს (6:4, 6:0), ვენესუელელ ისაბელა ფერნანდეს-დიასს (6:0, 6:0), ჩეხ იანა იანდოვას (6:4, 6:3), ესპანელებს — პილარ დომინგეს-ლოპესსა (6:0, 6:1) და ივონ კავალე-რეიმარს (6:2, 6:3). ქალთა საჩოგბურთო ასოციაციის რეიტინგში ქვაცაბაიას 111 ქულით 382-ე ადგილი უკავია.

**ლაშა დიდია**

რაგბი

# ჟანრის სტილში



**ევროპის უპრესტიჟულესი სანაკრებო ტურნირი „ექვსი ერი“ ისე დაიწყო, როგორც უნდა დაწყებულიყო.**

კერძოდ, ბრიტანულ ჯახებში მოვლენები დრამატულად განვითარდა და გამარჯვებულის გამოცნობა საფინალო სასტვენამდე შეუძლებელი იყო. გამონაკლისს ლა-მანშს გამოღმა გამართული ბრძოლა წარმოადგენდა, რომელშიც შარშანდელი მსოფლიოს თასის გათამაშების ფინალისტებმა სოლიდური უპირატესობით დაჯაბნეს მეზობელი აპენინელები.

**ირლანდია — უელსი 21:23, შოტლანდია — ინგლისი 6:13, საფრანგეთი — იტალია 30:12.**

ფეხბურთი

# ევროპის სტადიონებზე

**ინგლისი.** „სიტი“ — „ფულჰემი“ 3:0, „ჩელსი“ — „მანჩესტერი“ 3:3, „არსენალი“ — „ბლექბერნი“ 7:1.

**გერმანია.** „ნიურნბერგი“ — „ბორუსია“ 0:2, „ჰამბურგი“ — „ბაიერნი“ 1:1, „შალკე“ — „მაინცი“ 1:1, „ვოლფსბურგი“ — „გლადბახი 0:0.



**ესპანეთი.** „ხეტაფენ“ — „რეალი“ 0:1, „ბარსელონა“ — „სოსიედადი 2:1, „ატლეტიკო“ — „ვალენსია“ 0:0.

**იტალია.** „იუვენტუსი“ — „სიენა“ 0:0, „რომა“ — „ინტერი“ 4:0, „მილანი“ — „ნაპოლი“ 0:0, „ფიორენტინა“ — „უდინეზე“ 3:2.

**საფრანგეთი.** „პარი სენ-ჟერმენი“ — „ევიანი “ 3:1, „მარსელი“ — „ლიონი“ 2:2, „მონპელიე“ — „ბრესტი“ 1:0.

ჭიდაობა

# „კლასიკოსების“ ექვსი მედალი



**სოფიაში დან კოლოვისა და ნიკოლა პეტროვის ტრადიციულ 50-ე საერთაშორისო მემორიალში საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე 12 ფალავანი მონაწილეობდა ბეგი დარჩიას ხელმძღვანელობით. ასპარეზობის პირველ დღეს ჩვენებურებმა ოთხი მედალი მოიპოვეს. განსაკუთრებით სოსო ჯაბიძემ (96კ) იყოჩაღა: პირველ წრეში მან თურქი სულეიმან დემირჩი დაამარცხა, მერე მოლდოველ ანდრიან მოკანუს აჯობა, ნახევარფინალში კონკურენტ თანამემამულეს — სანდრო დიხამინჯიას სძლია, ფინალში კი მასპინძელთა ლიდერ კალოაინ დინჩევს მოუგო 2:1 (0:1, 1:0, 1:0). დიხამინჯია, ზურაბ დათუნაშვილის (74კ) მსგავსად, ბრინჯაოს დასჯერდა.**

ორგზის მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონმა მანუჩარ ცხადაიამ (74კ) სტარტზე აშკარა უპირატესობით დაჯაბნა მასპინძელი დანიელ ალექსანდროვი, მერე მის გზას გაუყენა სერბი გორან ბულატოვიჩი, ებრაელი ილია შაფრანი, ლატვიელი ალექსანდრს ვისნაკოვსი. ბულგარელ ილიან გეორგიევთან ფინალური შეხვედრაც აქტიურად დაიწყო და პირველი პერიოდი 5:0 მოიგო, თუმცა შემდეგ ორი პერიოდი ერთნაირი ანგარიშით (0:2) დათმო და ვერცხლის მედალს დასჯერდა. მწვრთნელების თქმით, ლონდონში ცხადაია 66 კილოში მოსინჯავს ძალებს.

ბულგარულ ტურნირზე 74 კილოში უნდა ეჭიდავა ოლიმპიურ ჩემპიონ მანუჩარ კვირკველიას, მაგრამ, ეტყობა, წონის დაკლებას მოერიდა და 84-ში იასპარეზა, თუმცა წარუმატებლად — პირველივე წრეში ირანელ მაჯიდ ალი-არიფაიზაბადისთან წააგო. ამავე წონაში გამოდიოდა კიდევ ერთი ოლიმპიური ჩემპიონი, მსოფლიოს ჩემპიონატების ორგზის ვერცხლის მედალოსანი ქარამ მოჰამად გაბერ იბრაჰიმოვი, რომელმაც შარშან 84 კილოში არაბული თამაშები მოიგო. ბულგარეთში დიდად ვერც მან გამოიჩინა თავი — მეორე წრეში ლატვიელ ლაიმუტის ადმაიტისთან დამარცხდა. სამაგიეროდ, ვლადიმერ გეგეშიძემ გვასახელა — ზედიზედ სძლია ოთხ მეტოქეს, გადამწყვეტ ორთაბრძოლაში კი მასპინძელ ნიკოლაი ბაირაკოვს დააყრევინა ფარ-ხმალი (2:1, 0:6, 4:0) და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა.

შეჯიბრების ბოლო დღეს ქემალ ხარაბაძეს (55კ) ვერცხლის მედალი ერგო, პაატა ბაკურიძე (66კ) კი მე-5 ადგილს დაჯაბულდა.

**გივი გაგუა**

ძიუდო

# მწირი მონაგრით



**პარიზის დიდ სლემზე ქართველი ძიუდოისტები, ფაქტობრივად, ოპტიმალური შემადგენლობით გაემგზავრნენ, მაგრამ პეტერ ზაიზენბახერის შეგირდებმა საფრანგეთის დედაქალაქში სანუგეშო ვერაფერი შემოგვთავაზეს. „ჯვაროსანთა“ დელეგაციას ერთადერთი ბრინჯაოს მედალი ამირან პაპინაშვილმა (60 კგ) მოუტანა. პირველ წრეში მან ფინელ იუჰო რეინვალის მოუგო, მერე ბრიტანელი ეშლი მაკენზი და აზერბაიჯანელი ილგარ მუშკიევი დაამარცხა, ნახევარფინალში კი სამხრეთკორეელ ვონ ჩიმ კიმს დანებდა. საბოლოოდ იგი მესამე ადგილსა და 120 სარეიტინგო ქულას დასჯერდა.**

მედლამდე ცოტა დააკლდა ვარლამ ლიპარტელიანს (90კ). ქართველმა ფალავანმა ზედიზედ აჯობა პოლონელ კშიშტოფ ვეგლარაცსა და ყაზახ ალექსანდრ კასაჩევს, მეოთხედფინალში ჰანტეით (მსაჯების გადაწყვეტილებით) წააგო კუბელ ასლეი გონსალესთან და მეხუთე ადგილზე გავიდა (60 სარეიტინგო ქულა). ამავე წონაში ცდიდა ძალებს დიდ სპორტში დაბრუნებული ოლიმპიური ჩემპიონი ზურაბ ზვიადაური, თუმცა მან პირველივე შეხვედრა მონგოლ ენხბატ ერდენებილეგთან დათმო. ასევე, სასტარტო ორთაბრძოლა წააგო ლომერ ჟორჟოლიანმა (100კ). თითო მეტოქე დაამარცხეს და მერე დაემშვიდობნენ პარიზის დიდ სლემს შალვა ქარდავა (66კ), ავთანდილ ჭრიკიშვილი (81კ), ადამ ოქრუაშვილი და ზვიად ხანჯალიაშვილი (ორივე — მძიმე წონა). ქართველი ძიუდოისტები ევროპაში კიდევ რამდენიმე ტურნირში იასპარეზებენ.

**ლექსო ცინცაძე**

კალათბურთი

# სუპერლიგა იხვეწება



**სუპერლიგის განახლება საგულისხმო სიახლით აღინიშნა — ყოველი შეხვედრის დასრულების შემდეგ გუნდების მწვრთნელთა და კაპიტანთა, აგრეთვე გამორჩეულ მოთამაშეთა მონაწილეობით სახელდახელო პრესკონფერენციები იმართება.**

ეს ტრადიცია ჩვენთვისაა უცხო ხილი, თორემ საკალათბურთო სამყაროში კარგა ხნის წინათ დაინერგა. თუმცა, ხომ გაგიგონიათ, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროსო.

რაც შეეხება ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრის სასტარტო მატჩებს, მათგან განსაკუთრებულ ინტერესს თბილისის „დინამოს“ და „ქუთაისის“ დუელი იწვევდა.

შეგეხსენებთ, რომ ეროვნული თასის გათამაშების ამასწინანდელი დაპირისპირება რიონისპირელებმა უმძაფრეს ბრძოლაში ერთი ქულით მოიგეს.

ამჯერად განახლებული სამწვრთნელო შტაბის (ხოშტარია — ორმოცაძე — აბრამიძე) მითითებით დამოძღვრილ „თეთრ-ლურჯებს“ რევანშის ასაღებად მშვენიერი შანსი მიეცათ და მათაც ჩინებულად გამოიყენეს ბოძებული შესაძლებლობა — 79:55, რასაც, უპირველესად, გუნდის ბალკანელ დებიუტანტ იულიჩსა და სანაძეს უნდა უმადლოდნენ.

**XI ტურის დანარჩენი შედეგები:** (ისვენებდა „არმია“). **„რუსთავი“ — „სოხუმი“ 61:74, „ოლიმპი“ — თსუ 103:80, „ბათუმი“ — შსს 56:96, სტუ — „სამედიცინო“ 73:87.**

სტუდენტური დერბის შემდეგ ტექნიკოსთა თავკაც ზურაბ ტომარაძეს ვთხოვეთ განემარტა, თუ რატომ გამოიყურებოდნენ მისი შეგირდები ასე პასიურად, რაზეც ასეთი პასუხი მივიღეთ: „მეორე წრის წინ სასტარტო ხუთეულის ორმა წევრმა — ბერუაშვილმა და ჩიკვილაძემ დაგვტოვა, თუმცა უმთავრესი მაინც სეზონის წინ ჩვენთვის დასახული სტრატეგიული ამოცანაა, რომლის თანახმადაც პრიორიტეტულად დამდეგ უნივერსიადაში გამარჯვებას მივიჩნევთ (ბოლო წლებში სტუ სტუდენტური თამაშების უცვლელი ჩემპიონია — **რედ.**). რაც შეეხება რეგულარულ გათამაშებას, იგი ერთგვარ მოსამზადებელ ეტაპად შეგვიძლია განვიხილოთ“.

**სატურნირო მდგომარეობა:** „არმია“ — 10, „ოლიმპი“ — 9, „ქუთაისი“ — 8, „სოხუმი“, შსს — 7-7, სტუ, „დინამო“ — 5-5, „სამედიცინო“, თსუ — 4-4, „ბათუმი“ — 1, „რუსთავი“ — 0 მოგება.

◉ საწვავი წყალი



**ენერგიის ახალი წყაროების ძიება XXI საუკუნის მთავარი სამეცნიერო ამოცანა გახდა. ის, ვინც შემოგვთავაზებს ნავთობისა და გაზის ალტერნატივას, შეიძლება მთელი კაცობრიობის გმირად ჩაითვალოს.**

**ფეოდორ კამილის ძე გლუმოვი — დიდი მეოცნებეა. ის პერმის ცენტრში „ხრუშჩოვკაში" ცხოვრობს და რევოლუციაზე ოცნებობს. მაგრამ არა იმ რევოლუციაზე, რომელზეც ბოლო პერიოდში გაჰკივიან რუსეთის მოედნებზე, არამედ რევოლუციაზე ენერგეტიკაში. 57 წლის ინჟინერ-მექანიკოსი გლუმოვი დარწმუნებულია: არ არის შორს ის დღე, როდესაც ყველა ბინაში, ყველა სახლში, ჩრდილოეთ პოლუსზეც კი, სადაც პოლარელები ცხოვრობენ, იქნება დადგმული ავტონომიური მოწყობილობა, რომელიც იძლევა ელექტრობას, სათბობ ენერგიას საკვების მოსამზადებლად, წყლის გასაცხელებლად და გასათბობად. ამგვარი მოწყობილობა მოიყვანს მოძრაობაში ავტომობილების ბორბლებსაც. სასწაულებრივი დანადგარის მუშაობისთვის ერთადერთი პირობაა — წყლის არსებობა. გლუმოვმა გამოიგონა და დააპატენტა დამუშავებანი, რომლებიც საშუალებას იძლევიან ვწვათ წყალი სათბობის სახით და მივიღოთ თითქმის უფასო სათბობი ენერგია.**

# სათბობი ჩვენში ონკანიდან მოდის?

### გამოსასვლელში — ორთქლი

**იდეა, თუ მას მაქსიმალურად გავამარტივებთ, ასეთია: წყალი, როგორც ცნობილია, შედგება წყალბადისა და ჟანგბადისგან, და თუ დავყოფთ მათ ამ ორ ელემენტად, წყალბადი შეიძლება დავწვათ ჟანგბადში, გამოვყოთ სითბოს დიდი ოდენობა.** დამატებით ენერგიას მოგვცემს ეგრეთ წოდებული ატომარული წყალბადის რეკომბინაცია — მისი ატომების გაერთიანება მოლეკულებში. ეს არის რეაქცია — რაღაც საშუალო ქიმიურსა და ბირთვულს შორის, აქედან კი — კოლოსალური ენერგია. „გაანგარიშებები გვიჩვენებენ: ასეთ რეაქტორში რკინიგზის ერთნახევრიანი ცისტერნა წყლის წვისგან მიღებული სათბობი ეკვივალენტურია იმ ენერგიისა, რომელსაც ერთი საათის განმავლობაში გამოყოფს ტიავნანის ჩინეთის ატომური ელექტროსადგური, რომელიც რუსეთმა ააშენა! — ამტკიცებს გლუმოვი. — მნიშვნელოვანია ისიც, რომ ტექნოლოგია ეკოლოგიურად უსაფრთხოა: გამონაბოლქვში მხოლოდ წყლის ორთქლია, ესე იგი ეს არის ენერგიის განახლებული წყარო".

მაგრამ ეს არის თეორია. მისადმი არის შეკითხვები. პირველი: რა ხერხით აპირებს პერმელი კულიბინი წყლის დაყოფას შემადგენელ ნაწილებად? ხომ ცნობილია, რომ ეს პროცესი თავისთავად ენერგიის ხარჯვისაა და წყლიდან წყალბადის ამოსაღებად ელექტროლიზის მეთოდით, მაგალითად, უნდა დაწვა იმდენი ნავთობი და გაზი, რომ ტექნოლოგია არარენტაბელური ხდება. „აუცილებელია მხედველობაში მივიღოთ, თუ როგორ ხდება წყლის დისოციაცია, — განმარტავს გამომგონებელი. — ეს შეიძლება იყოს, მაგალითად, კავიტაცია (სითხეში ორთქლით სავსე ბუშტების წარმოქმნაძ, ულტრაბგერითი ზემოქმედება ან დისკის საპირისპირო მხარეს ბრუნვა, რომლის მცირე ღრიჭოებს შორისაც არის წყალი. გამოგონებათა გამოფენაზე „არქიმედი — 2002" მოხდა მოწყობილობის დემონსტრაცია, სადაც წყალი იშლებოდა ჟანგბადად და წყალბადად სპეციალურად მიცემული, დაბალი სიხშირის რეზონანსული აკუსტიკური ტალღებით. მოწყობილობის სიმძლავრე მილივატებს შეადგენდა".

არის უფრო შთამბეჭდავი მაგალითებიც. სამი წლის წინათ იაპონურმა კომპანიამ წარმოადგინა ავტომობილის პროტოტიპი, რომელსაც წყლით მართავდნენ. მემბრანა-ელექტროდი შლის მას წყალბადად და ჟანგბადად. პირველი ხელახლა უერთდება მეორეს ელექტრომექანიკურ გენერატორში, რითაც მუშაობს მოტორი. გამოსაბოლქვი მილიდან გამოდის ჩვეულებრივი ორთქლი. ერთი ლიტრი წყლით მანქანა ერთ საათში 80 კილომეტრს გადის.

### პლაზმოტრონი ბატარეიდან

**„თუ თქვენს რეაქტორში „იწვის" წყალი, გამოსასვლელში კი ვღებულობთ იგივე ორთქლს, საიდან მოდის ენერგია?" — ვეკითხები გლუმოვს. „წყლის შიდამოლეკულური ენერგიიდან", — მიპასუხა მან. და მიჩვენებს დაწვრილებით გაანგარიშებებს, საიდანაც ვასკვნით, რომ თუ მოლეკულას „ჰაშ ორი ო" დავშლით მექანიკურად ან მაღალვოლტიანი რკალით, მისი განმეორებული სინთეზის დროს გამოსხივდება დამატებითი თბური ენერგია.** გლუმოვი დიდხანს საუბრობს კლასტერებზე, რომლებშიც ერთიანდებიან წყლის მოლეკულები, კოვალენტურ კავშირებზე, რომელთა დაშლასაც თან ახლავს ენერგიის გამოყოფა, წვის ჯაჭვურ რეაქციაზე, მაგრამ ყველაზე საინტერესო ირკვევა შემდეგ: თურმე, მისი დანადგარის პროტოტიპები (რაც ჯერჯერობით მხოლოდ თეორიაში არსებობსძ უკვე შექმნილია და წარმატებითაც იყენებენ!

„ესენია პლაზმური აპარატები — მათ იყენებენ ლითონებისა და ბეტონის დასაჭრელად, შედუღებისთვის, მასალების დასამუშავებლად და ა.შ. აპარატები დიდი ხანია იყიდება და ისინი ჩვეულებრივზე უფრო ეფექტიანებია, — მიხსნის ბატონი ფეოდორი. — ელექტრული რკალის დახმარებით ასეთ აპარატს წყლის ორთქლი მიჰყავს პლაზმის მდგომარეობამდე. ჩირაღდნის ტემპერატურა — 6000 გრადუსია ცელსიუსით, როგორც მზის ზედაპირზე. წყლის დაყოფა ჟანგბადად და წყალბადად კი ხდება 1800 გრადუსი ტემპერატურის დროს. 50-70 მილილიტრი წყალი საკმარისია, რომ ნახევარი საათის განმავლობაში ვჭრათ ფოლადი 5 სანტიმეტრამდე. ამ დროს აპარატის სიმძლავრე შეადგენს სულ რაღაც 200 ვატს. მე გამოვიყენე ეს იდეა და სრულვყავი იგი. ჩემი დაპატენტებული გამოგონება მუშაობს იმავე პრინციპით, მხოლოდ ეს მრავალსაფეხურიანი პლაზმოტრონია — ის საშუალებას იძლევა მრავალგზის გავზარდოთ ენერგიის ოდენობა".

პირველადს პლაზმოტრონს, გლუმოვის სიტყვებით, შეუძლია იმუშაოს უბრალო ბატარეით. შემდეგ ეგრეთ წოდებული დავალის საქშენით (ტექნიკური ხელსაწყო, რომელიც დევნის გაზის ნაკადებსძ პლაზმა ხვდება მეორე, მოცულობით უფრო დიდ მოწყობილობაში, შემდეგ მესამეში და ა.შ. უნიტაზის ბაკის ოდენა რეაქტორს, მარწმუნებს გამომგონებელი, შეუძლია უზრუნველყოს საცხოვრებელი სახლი მთელი საჭირო ენერგიით.

ამჟამად ის აპატენტებს მოწყობილობას, რომელიც სითბურ ენერგიას გარდაქმნის უშუალოდ ელექტროენერგიად „მექანიკური შუამავლების" გარეშე. სხვათა შორის, პერმელ კულიბინს უკვე 11 პატენტი აქვს. თუმცა მათ დანერგვასთან დაკავშირებით არის პრობლემები, მაგრამ რას იზამ, რუსეთში თითქმის ყველა გამომგონებელს ასეთი ბედი აქვს. მიმოწერას უმაღლეს ინსტანციებთან შედეგები არ მოაქვს, საკუთარი ფული კი საცდელი ნიმუშების წარმოებისთვის არ არის. თუმცა... „უნიკალურ მოწყობილობას წყლის დაწვისთვის, ეჭვსგარეშეა, აქვს რევოლუციური მნიშვნელობა. ამ ინოვაციებზე მიღებული პატენტები, აგრეთვე ჩვენი სპეციალისტების მიერ მოწყობილი ექსპერტიზა ადასტურებენ ამ გამოგონებათა გამოყენების პერსპექტიულობას რუსეთის პრინციპულად ახალი ეკონომიკის შესაქმნელად", — უპასუხა მას კიროვის ოლქის სამრეწველო განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, სადაც მან მიმართა თავისი იდეებით.

იქნებ ეს ჩინოვნიკური პასუხია, მაგრამ ძნელი არაა შევნიშნოთ: მასში არის კარტ-ბლანში რევოლუციაზე. ენერგეტიკულ რევოლუციაზე, რასაკვირველია.

**დმიტრი პისარენკო**

АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ

**ინტერნეტ-გამოკითხვა**

**ენერგიის რომელ ალტერნატიულ წყაროებს შეუძლია შეცვალონ ნავთობი 40-50 წლის შემდეგ?**

**. მზიურ ენერგიას — 28 პროცენტი (243 ხმა),**

**. ატომურ ენერგიას — 28 პროცენტი (240 ხმა)**

**. ბიოსათბობს — 15 პროცენტი — (129 ხმა)**

**. მას, რომელიც ჯერ არ გამოუგონიათ — 15 პროცენტი (126 ხმა)**

**. ქარის ენერგიას — 8 პროცენტი (69 ხმა)**

**. ჰიდროელექტროსადგურებს — 6 პროცენტი (51 ხმა).**

**სულ იყო 858 ხმა**

◉ ლიტერატურული სიახლენი

# რაულ ჩილაჩავას „ეული ვარსკვლავის შუქი"

**ხელხვავიანად დაიწყო ახალი წელი პოეტ რაულ ჩილაჩავასთვის. ეს-ესაა უკრაინის მწერალთა კავშირის გამომცემლობა „უკრაინსკი პისმენნიკმა" ორ წიგნად გამოსცა მისი რჩეული ლექსები და თარგმანები სახელწოდებით „ეული ვარსკვლავის შუქი".** პირველი წიგნი მოიცავს პოეტის ქართულ ლექსთა უკრაინულ თარგმანებს, მეორეში კი მისი უკრაინული ლექსები და ქართულიდან შესრულებული თარგმანებია შესული. ორტომეულის ანოტაციაში ვკითხულობთ: „წინამდებარე გამოცემა მკაფიოდ ირეკლავს მისი ავტორის, ცნობილი ქართველი პოეტის, მთარგმნელის, მეცნიერისა და დიპლომატის ბედს, რომელიც სრულიად ყმაწვილი ჩამოვიდა უკრაინაში და შევჩენკოს ენის შესწავლის შემდეგ უკრაინელი პოეტიც გახდა. მისი ლექსების პირველი უკრაინული კრებული „საპოვნელა — ბედნიერების ყვავილი" ოთხი ათეული წლის წინათ, 1972 წელს გამოვიდა გამომცემლობა „მოლოდში". ამჟამად რაულ ჩილაჩავა უამრავი პოეტური კრებულის, სამეცნიერო, პუბლიცისტური თუ ნათარგმნი წიგნის ავტორია, მას მიღებული აქვს ბევრი ლიტერატურული პრემია, სახელმწიფო და საერთაშორისო ჯილდო. მისი ქართული და უკრაინული ლექსები აღსავსეა ცხოვრების არსზე ფილოსოფიური განსჯით, გამთბარია როგორც მშობლიური ქართული მიწისადმი, ასევე უკრინული მიწისადმი სიყვარულითაც, სადაც პოეტი ცხოვრობს და მოღვაწეობს."




უნდა აღინიშნოს, რომ რაულ ჩილაჩავას ლექსების მთარგმნელთაგან ათი უკრაინის ტარას შევჩენკოს სახელობის ეროვნული პრემიის ლაურეატია (მათ შორის არიან მიკოლა ბაჟანი, მიკოლა ვინგრანოვსკი, ივან დრაჩი, რომან ლუბკივსკი, ვლადიმერ ბაზილევსკი და სხვები), თვითონ რაულ ჩილაჩავა კი გალაკტიონის, ტერენტი გრანელისა და სხვა ქართველი პოეტების მთარგმნელად გვევლინება. გამოცემის გარეკანების გასაფორმებლად გამოყენებულია ნიკო ფიროსმანისა და ლადო გუდიაშვილის ნახატები „ირემი" და „გაზაფხული".




სულ ბოლოს მკითხველს გვინდა ვაცნობოთ, რომ უკვე სტამბაშია და სულ მალე გამოვა რაულ ჩილაჩავას ლექსთა ათასგვერდიანი კრებული „შნო" ქართულად, რომელშიც 1600-ზე მეტი ლექსია შესული.

**თამარ შაიშმელაშვილი**

შალვა, ბიძინა, ლევან მგალობლიშვილები სამძიმარს უცხადებენ გენადი დუნდუას

**დედის**

გარდაცვალების გამო.

---

რუსუდან, გურამ პიტავები, ნატო იმერლიშვილი ოჯახებით მწუხარებით იუწყებიან

**ვერა კონსტანტინეს ასულ დუნდუას**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

**მომხმარებელთა საყურადღებოდ!**

## შპს „საქართველოს ლატარიის კომპანიის" განცხადება თამაშის შეწყვეტის თაობაზე

მომენტალური გათამაშების ლატარიის წესების თანახმად 2012 წლის 7 თებერვლიდან შეწყდა მომენტალური ლატარიის თამაში №006 სახელწოდებით 6/49, მომენტალური ლატარიის თამაში №007 სახელწოდებით „კამათელი", მომენტალური ლატარიის თამაში №008 სახელწოდებით „მეცხრეცა", მომენტალური ლატარიის თამაში №009 სახელწოდებით „რულეტკა".

აღნიშნული თამაშების მოწყობის წესების თანახმად, მოგებახვედრილი ბილეთების განაღდება უნდა მოხდეს თამაშის შეწყვეტის შესახებ განცხადების გამოქვეყნებიდან 180 დღის განმავლობაში.

შესაბამისად, მომენტალური ლატარიის თამაშების №006, №007, №008, №009 მოგებახვედრილ ბილეთებზე მოგების გაცემის ბოლო ვადაა 2012 წლის 6 აგვისტო.

## დაიჯესტი

### გადაშენებულ ცხოველთა სასაფლაო



**ნიუ-იორკის ზოოპარკის დირექციამ მნახველთათვის იმ საფრთხის შეხსენება გადაწყვიტა, რომელიც მრავალი ჯიშის გარეულ ცხოველს გადაშენებით ემუქრება.** ამ მიზნით მან ბოლო საუკუნის მანძილზე გადაშენებულ ცხოველთა სიმბოლური სასაფლაო მოაწყო. ორას „საფლავის ქვაზე“ ცხოველთა სახეობების დასახელება და წარწერა – „გადაშენდა“ იყო ამოტვიფრული.

### თაგვების ცირკი




**გასული საუკუნის 70-იან წლებში გერმანიის ქალაქ ლაიფციგში ჰერალდ რუპერტმა მსოფლიოში პირველი... თაგვების ცირკი ჩამოაყალიბა.**

... პაწაწინა წრუწუნა სამმეტრიანი სიმაღლიდან ცეცხლმოკიდებულ რგოლში ხტება – ეს იყო ჰერალდ რუპერის ცირკის ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი ნომერი. ცირკის „დასში“ 50 თაგვი, ორი ვირთხა და ერთი კატა იყო, რომელსაც სხვა „მსახიობებთან“ უაღრესად მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა.

### ჯერ მუხლებზე დადექით, მერე ილაპარაკეთ!

**ყველაზე დიდი სმენის აპარატი 1819 წელს პორტუგალიის მეფე ჟუან VI-თვის დაამზადეს.**

მოწყობილობა სახელურებზე ლომების თავიან...



სავარძელს წარმოადგენდა, რომელთა დაფჩენილი ხახები რუპორებს წარმოადგენდნენ. რუპორებში მოხვედრილი ბგერა სავარძლის ფუყე სახელურებით რეზინის მილებში ხვდებოდა, რომლებსაც მეფე ყურებში იცობდა. იმის გამო, რომ მეფესთან მოსაუბრე მუხლებზე უნდა მდგარიყო, რუპორი-ლომები ზუსტად მოლაპარაკის პირის დონეზე იყო განთავსებული.

### ფრთხილად: ყავა და ბუტერბროდი!

**დილაობით ბევრნი საუზმეზე ბუტერბროდსა და ყავას მიირთმევენ, არადა ჰელფის უნივერსიტეტის მეცნიერთა კვლევის შედეგად გაირკვა, რომ ეს კომბინაცია ადამიანის ჯანმრთელობისთვის უაღრესად მავნე ყოფილა.**

მკვლევარებმა ექსპერიმენტი ჩაატარეს და დაადგინეს, რომ ცხიმიანი საკვების, ან ფასტფუდის შემდეგ ყავის სმას ჯანმრთელი კაცის სისხლშიც კი შაქრის შემცველობის დიაბეტით დაავადებულის დონემდე აწევა შეუძლია.

მანამდე ცნობილი იყო, რომ ცხიმიანი პროდუქტები სისხლში შაქრის ნახტომისებრად მატებას პროვოცირებენ. ახლა კი აღმოჩნდა, რომ ცხიმიანი პროდუქტებისა და ყავის შეხამება ნეგატიურ შედეგს აორმაგებს. საქმე ისაა, რომ გაჯერებული ცხიმები სისხლიდან შაქრის გამოყვანის საშუალებას არ იძლევა. ამასთან ყავა, მისი საკვების მიღებიდან რამდენიმე საათის შემდეგ დალევის შემთხვევაშიც კი, ამ პროცესს კიდევ უფრო მეტად ართულებს.

### ნეტავ რას ვიჭიმებით?!

**შვეიცარიის ქალაქ ლოიფენის მახლობლად პარკში მოყვარულ ასტრონომთა საზოგადოების ენთუზიასტთა ჯგუფმა ერთმილიარდიან მასშტაბში მზის სისტემის მოდელი შექმნა.**



1,4 მეტრის დიამეტრის მქონე ბრჭყვიალა მასალისგან დამზადებული მზის მაკეტისგან ჩვენი მზის სისტემის ყველაზე შორეული პლანეტისკენ პლუტონისკენ მიმავალი ბილიკის გავლას ამ უჩვეულო ატრაქციონის მნახველი სამ საათს უნდება. ბილიკის გასწვრივ კი, რეალურ მზის სისტემაში არსებული თანმიმდევრობითა და პროპორციების სრული დაცვით სხვა პლანეტებია განთავსებული. მესამე პლანეტასთან, დედამიწასთან მიახლოებისას ტურისტებს სიურპრიზი ელით: მასგან სულ 13 მილიმეტრის მოშორებით ერთი ციდა მარცვალია, რომელიც მთვარეს წარმოადგენს.

კაცობრიობა კი საკუთარი ძლევამოსილებით ბაქიბუქობს!

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

## ანეკდოტები

ქერათმიან ლამაზმანს გინეკოლოგმა სპირალი ჩაუდგა.

– ექიმო, კალგონსაც მომცემთ? – ეკითხება ქალი წასვლისას.



– რად გინდათ კალგონი?

– სატელევიზიო რეკლამაში ხომ აცხადებენ, უკალგონოდ სპირალს ნადული ნალექი ედებაო!

წუხელ თერმომეტრმა მოგვიკაკუნა ფანჯარაზე, შემომიშვით, ძალიან ცივაო.

* * *

– რაც უფრო დებილები არიან მშობლები, მით უფრო ჭკვიანები გამოდიან მათი შვილები.

– რატომ?

– იმიტომ, რომ თვითონ უხდებათ ყველაფრის გადაწყვეტა.

* * *

გოგონა, რომელსაც დაქალმა საიდუმლოდ გაანდო რაღაც, მტანჯველი არჩევანის წინაშე დგას – პირველად ვის გაანდოს ინფორმაცია.

## ცნობისმოყვარეთათვის

# სად, რა, როდის?

● კლავდიუსის მმართველობის დროს ძველ რომში ერთი ქალი უარს ამბობდა, ეღიარებინა თავისი ვაჟი, თუმცა ამაზე დამაჯერებელი მტკიცებულებები ვერ წარმოადგინა. მაშინ კლავდიუსმა ქალს მიმართა სოლომონის ცნობილი წინადადებით – ცოლად გაჰყოლოდა მას, რის შემდეგაც ის იძულებული გახდა, ვაჟი შვილად ეღიარებინა.

● ერთხელ რომაული გარნიზონის მეთაურის სპურიუს ტარპეის ქალიშვილი მტერთან მივიდა და უთხრა, რომ მათ მეომრებს ციხესიმაგრეში შეუშვებდა, თუ ყველა მათგანი მოიხსნიდა ოქროს სამაჯურს, რომელსაც ისინი მარცხენა ხელზე ატარებდნენ. ქალიშვილმა მათ დანაპირები შეუსრულა და გასამრჯელოც მოითხოვა. ტიტუს ტაციუსმა მეომრებს მიმართა: „შევუსრულოთ დანაპირები! არ დაგენანოთ, მიეცით მას სამაჯური ისე, როგორც მე ამას ვაკეთებ“ და სამაჯური ტარპეის გადაუგდო. ამით მოღალატე ქალი სასტიკად დაისაჯა – მან სამაჯურების სიმძიმეს ვერ გაუძლო და გაიჭყლიტა.

● ძვ.წ. IV საუკუნეში ეგვიპტელმა ქურუმმა დაწერა ორტომეული „იეროგლიფიკა“, რომელშიც ცდილობდა, აეხსნა იეროგლიფების საიდუმლო. მაგალითად, ნიშანი, რომელიც პალმის ტოტს ჰგავდა, მისი აზრით, „წელს“ აღნიშნავდა, რადგან პალმის ხეს წელიწადში 12 ტოტი გამოჰქონდა. ნიშანი „კურდღელი“ გაღებას ნიშნავდა, რადგან კურდღელს მუდამ ღია თვალებით სძინავს, სირაქლემას ბუმბული კი სამართლიანობას ნიშნავდა, რადგან სირაქლემას გაშლილ ფრთებზე ყველა ბუმბული თანაბარი სიგრძისაა.

● ტანზანიელ ტომებს სჯერათ, რომ პითონი სიკვდილის წინ ძვირფას ქვას გადმოაფურთხებს ხოლმე, რის გამოც გველის სიკვდილის შემსწრენი თუ ძვირფას ქვას ვერ აღმოაჩენენ, მის მოპარვაში ერთმანეთს ადანაშაულებენ.

● ელაისი, სპერმო და ოინო –ასე ერქვა მეფე ანიოსის სამ ქალიშვილს, რომელთა ხელის შეხებაზე ყველაფერი ზეთად, ხორბლად და ღვინოდ იქცეოდა. სწორედ მათ მოამარაგეს ტროას ომის დროს ბერძნები სურსათ-სანოვაგით.

● დაახლოებით 800 წლის წინათ ესპანელებმა მავრები დაამარცხეს და კორდოვის ტერიტორია ხელთ იგდეს. დაპყრობილი ქალაქის მმართველმა ამირა ალმანსოლმა გადაწყვიტა, ბოლომდე ებრძოლა და სამაგიერო გადაეხადა, მან ესპანელთა რიგებში შეაღწია და მთელი ჯარი გაწყვიტა იმით, რომ თავი შავი ჭირით დაიავადა და მათაც გადასდო.

● პლინიუსის აზრით, სამი რამ იყო ესქილეს სიკვდილის მიზეზი: მელოტი თავი, კუ და არწივი. ხოლო მოვლენები კი ასე განვითარდა: არწივმა დაიჭირა კუ. აიტაცა ჰაერში, რათა ზემოდან გადმოეგდო და ქვაზე დაემსხვრია მისი ბაკანი, ხოლო ის, რაც არწივმა ქვად მიიჩნია, ესქილეს მელოტი თავი აღმოჩნდა.

● დაცინვისა და ბოროტსიტყვაობის ღმერთს ბერძნულ მითოლოგიაში მომოსი ერქვა. მან აფროდიტეს ნაკლი ვერ უპოვა და ბოღმისგან გასკდა.

მოგვაწოდა
ტიტე კოპალეიშვილმა

## კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24